yოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 18 აპრილი, 2016
№91 (7017)
ფასი: 50 თეთრი

## სოხუმში აფხაზ დეპუტატს მანქანა აუფეთქეს



გვ.4

აფხაზეთში რუსულ კვალზე ალაპარაკდნენ

## 18 აპრილიდან ქართველები ამერიკაში




ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

# როდის გადადგებიან რესპუბლიკელი მინისტრები?



გვ.3

უსუფაშვილი: „არჩევნებზე რესპუბლიკელები ცალკე გამოვალთ“

## გია ხუხაშვილი: „ვინც მარგველაშვილს ლანძღავს, წარსულშია ჩარჩენილი“




„ამით ისინი ივანიშვილის გულს ვერ მოიგებენ“

გვ.2

## ლადო სადღობელაშვილი: „ხადური ნაციონალებს გაურიგდა“




„ფინანსთა სამინისტრომ ბიზნესმენებს მილიარდზე მეტი ვალი ჩამოაწერა“

გვ.3

## გიორგი კვირიკაშვილი: „ივანიშვილის დაბრუნება ქართულ პოლიტიკას წაადგება“



გვ.2

## ყაზბეგის მაჟორიტარი დეპუტატის ძმა დააკავეს

გვ.4

დაპირისპირება მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების გამო



გვ.12

ISSN 1987-9385

## ქართული ტრიუმფი ნორვეგიაში

ევროპაში ყველაზე ძლიერი ლაშა ტალახაძეა



## ნინო გიორგობიანი: „გვაზავას ვურჩევ, ინფორმაცია გადაამოწმოს“

გვ.2

# გია ხუხაშვილი: „ვინც მარგველაშვილს ლანძღავს, წარსულშია ჩარჩენილი“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი გია ხუხაშვილი აფასებს.

***– ბატონო გია, რატომ გახდა სადავო წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების თარიღი? სამი თვე თუ ხუთი? რომელია მისაღები?***

– მე არა მაქვს აქ პრინციპული შეხედულება, გამომდინარე იქიდან, რომ ხელისუფლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მაქსიმალური გარემოს ჩამოყალიბება იმისათვის, რომ ოპონენტებს რაც შეიძლება ნაკლები არგუმენტი ჰქონდეთ მოსალოდნელი პოსტსაარჩევნო კრიზისის ინიცირებისთვის. ამაზე შესაძლებელი იყო პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა.

***– უმრავლესობის პოზიცია ასეთია, რომ ქვეყანას არ აქვს იმის საშუალება, რომ ხუთთვიანი კამპანია აწარმოოს. ამაზე რას იტყვით?***

– სამწუხაროდ, ეს თითიდან გამოწოვილი არგუმენტებია. მეორე მხრივ, მე არ ვარ კატეგორიული, რომ მაინცდამაინც ხუთი თვე უნდა იყოს, შეიძლება სამი თვე იყოს. ეს არ არის პრინციპული საკითხი.

***– რა არის აქ მთავარი და პრინციპული?***

– აქ მთავარი პრობლემა სხვა რამეშია – დისკომუნიკაცია მოხდა პრეზიდენტსა და მთავრობას შორის. რაღაც პოლიტიკურ თამაშს დაემსგავსა ეს ყველაფერი და ეს არის ძალიან ცუდი, თორემ სამი თვე იქნება თუ ხუთი, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

***– პოლიტიკურ თამაშში რა იგულისხმება?***

– პრეზიდენტის კეთილი ნება იყო და მთავრობაც ამას ეთანხმებოდა, რომ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს რაც შეიძლება ადრე გაეგოთ არჩევნების თარიღი, რომ უკეთ დაეგეგმათ თავიანთი საარჩევნო კამპანია. მთავრობის თხოვნა იყო 8 აგვისტოსთან დაკავშირებით, რაზეც პრეზიდენტი დათანხმდა, რადგან ეს კონსტრუქციული ურთიერთობა ყველას აწყობს. თუმცა აქ მთავრობის იურიდიულმა სამსახურმა კანონთან შეუსაბამობისკენ უბიძგა პრეზიდენტს.

***– ანუ ამ სიტუაციაში პრეზიდენტს ამართლებთ? ის შეცდომაში იქნა შეყვანილი?***

– მე არც პრეზიდენტს ვამართლებ, მის იურიდიულ სამსახურსაც უნდა გადაემოწმებინა. შემდეგ კი მოვლენები განვითარდა ისე, როგორც განვითარდა. ყველაფერი მაინც დაემსგავსა პოლიტიკურ თამაშს.

***– კვირიკაშვილის მხრიდან?***

– კვირიკაშვილს არ ვგულისხმობ, რადგან, დარწმუნებული ვარ, რომ მას ჰქონდა სურვილი, ყოფილიყო კონსტრუქციული, მაგრამ, სამწუხაროდ, კვირიკაშვილი სისტემას ვერ აკონტროლებს და სისტემამ პოლიტიკურად ითამაშა, ისე, რომ პრემიერიც არ არის ბოლომდე საქმის კურსში. ეს დასჭირდათ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ მოეხდინათ პრეზიდენტის რყევა.



## „პრეზიდენტი და პრემიერი ერთად უნდა გამოჩნდნენ“

***– მოვისმინეთ შეფასებებიც, რომ მავანმა ვერ აიტანა დამთბარი ურთიერთობა პრემიერსა და პრეზიდენტს შორის. ამაზე რას იტყვით?***

– რა თქმა უნდა. ეს გამოჩნდა შემდეგ კომენტარებშიც. ისევ შეურაცხმყოფელი კომენტარები პრეზიდენტის მიმართ უმრავლესობის რამდენიმე წარმომადგენლის მხრიდან ანუ გამოჩნდა მათი დამოკიდებულება, დამოკიდებულება ძალიან უარყოფითი. მე მაინც მივესალმები იმას, რომ პრემიერი ჟურნალისტებთან შეხვედრაზე კიდევ ერთხელ შეეცადა, რომ ჩაეცხრო ეს სიტუაცია და ეს ნამდვილად მისასალმებელია, რომ ყველაფერი დაუბრუნდეს კონსტრუქციულ ჩარჩოებს.

***– ანუ უმრავლესობას არ სურს, რომ დათბეს ურთიერთობა?***

– მე ვფიქრობ, რომ უმრავლესობას ეს არ სურს და ამაში თვითონ სისტემა გრძნობს გარკვეულ კომფორტს, იმიტომ, რომ თუ პრემიერსა და პრეზიდენტს შორის ნორმალური ურთიერთობა ჩამოყალიბდა, ეს სისტემისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

***– რა არის ამაში საფრთხის შემცველი?***

– ერთმანეთის ზურგი თუ ექნებათ პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს, ბევრი ადამიანი შეიძლება საჭირო აღარ გახდეს. ისინი საჭირონი არიან ზუსტად ამ ბრძოლის ველზე, სხვა მათ ფუნქცია არ აქვთ. მათ არ უნდათ, ფუნქცია დაკარგონ, ეს ტონალობაა მათი საჭიროების განმსაზღვრელი და ცდილობენ, ამ ფორმატს დაუბრუნონ ყველაფერი.

## „ამით ისინი ივანიშვილის გულს ვერ მოიგებენ“

***– რა შემთხვევაში იქნებოდა ეს პროცესი სწორი და ჯანსაღი?***

– როდესაც პრემიერ-მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის ორი თვე გაეზარდა სამ თვემდე, ის უნდა დალაპარაკებოდა პრეზიდენტს და პრეზიდენტსა და პრემიერს ერთობლივი განცხადება უნდა გაეკეთებინათ.

დადგა დრო, რომ ისინი ტელეეკრანებზე გამოჩნდნენ ერთად ასეთ თემებთან დაკავშირებით და გააკეთონ ერთობლივი განცხადება. დღესაც არ არის ეს დაგვიანებული, მე არ ვიცი, ისინი რაზე შეთანხმდებიან და იმედია, რომ შეთანხმდებიან. შეთანხმების შედეგები ცალ-ცალკე კი არ უნდა აცხადონ და გაფუჭებული ტელეფონი კი არ უნდა ითამაშონ, უნდა დადგნენ ერთად და ერთად შეთანხმებული პოზიცია ჩამოაყალიბონ.

აქ იქნება ორი მთავარი გზავნილი: პირველი, რომ მათ შორის პიროვნული პრობლემები არ არსებობს და მეორე, რომ ინსტიტუტებს შორის შეთანხმებული მოქმედებების გზავნილი იქნება საზოგადოებისთვის. მე ვურჩევდი ორივე მათგანს, რა შეთანხმებამდეც არ უნდა მივიდნენ, ეს გამოაცხადონ ერთად და არა – ცალ-ცალკე.

***– ითქვა ისიც, რომ უმრავლესობამ გაახმოვანა ის დამოკიდებულება, რომელიც ჰქონდა ბიძინა ივანიშვილს ამ პროცესთან დაკავშირებით. ასეა?***

– ეს უკვე წარსულს უნდა ჩაბარდეს. ბიძინა ივანიშვილს უკვე დიდი ხანია ამ თემებზე აღარ უსაუბრია. მე დიდი იმედი მაქვს, რომ მან ეს თემა დახურა და აღარ არის აქტუალური. მას შეიძლება ჰქონდეს პირადი წყენა, მაგრამ ეს მხოლოდ პირადი საუბრების საგანია და არა – საჯარო განხილვის. უკვე ამ ფაზაში გადავიდა ეს ყველაფერი, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ უმრავლესობის ბევრი წარმომადგენელი წარსულშია ჩარჩენილი, მათ ჰგონიათ, რომ სიების დაკომპლექტების წინ ასეთი უტაქტო, უზრდელური განცხადებებით ისევ ბიძინა ივანიშვილს ასიამოვნებენ.

***– რამდენად ასიამოვნებენ?***

– მე არა მგონია, რომ დღეს ეს სიამოვნებდეს ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ მარტივი ადამიანები ასე აზროვნებენ. ისინი ფიქრობენ, რომ დღესაც ამით მოიგებენ ივანიშვილს გულს და ამით შეცდომას უშვებენ. ეს მათ ინტელექტუალურ უმწიფრობაზე მეტყველებს.

***– პრემიერისა და მედიის შეხვედრის შემდეგ ბევრი მიიჩნევს, რომ კვირიკაშვილი ვერ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ლიდერად. როგორია თქვენი შეფასებები?***



– კვირიკაშვილი გამოიყურება ძალიან პოზიტიურად, ვადასტურებ, რომ კარგი ადამიანია და ნამდვილად ვგულშემატკივრობ მას. მან ნამდვილად შეცვალა ის დაძაბულობა, რომელიც მისი წინამორბედის დროს იყო. ყველაფერი კონსტრუქციულ ჩარჩოებში მოაქცია და ცდილობს, ყველას მოუსმინოს და იყოს კორექტული.

ფორმის მხრივ, მან გადადგა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები. სხვა საკითხია, როდის დაიწყებს ის ამ ყველაფრის შინაარსით შევსებას. რაზეც ახლა ვისაუბრე, ამ თვისებებზე ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ თაფლობის თვეში. მისი თაფლობის თვე კი უკვე დასრულდა. გარკვეული თვალსაზრისით მან უკვე დააგვიანა.

***– რას ითხოვთ კვირიკაშვილისგან?***

– მან უნდა გვაჩვენოს, რომ მხოლოდ კარგად კი არ საუბრობს, ის მოქმედებს! ქმედებებში ჩვენ ჯერ ის არ გვინახავს ანუ არცერთი პრინციპული საკითხი, რომლებიც დგას დღის წესრიგში, საზოგადოების იქნება ეს თუ პოლიტიკური ელიტის, არცერთი სისტემური საკითხი არ არის გადაწყვეტილი.

ჩვენ ფასადზე გამოვფინეთ ლამაზი და კარგი რაღაცები, მაგრამ შიგნით არაფერი შეგვიცვლია. სისტემა დარჩა სისტემად. შესაბამისად, რჩება განცდა, რომ ძალაუფლებით ინსტრუმენტებს მაინცდამაინც არ ფლობს პრემიერი. შესაძლებელია, ვიღაცამ ცადოს მისი ამ პოზიტივის გამოყენება და შემდეგ მისი კარიერა ამითაც დასრულდეს.

# ნინო გიორგობიანი: „გვაზავას ვურჩევ, ინფორმაცია გადაამოწმოს“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნინო გიორგობიანი საკუთარ ფეისბუქგვერდზე შს მინისტრის ყოფილი მოადგილის ლევან გვაზავას კომენტარს ეხმაურება.

**ნინო გიორგობიანი:**

– მინდა გამოვეხმაურო ბატონ ლევან გვაზავას კომენტარს, რომ თითქოს სუს-ის თანამშრომელმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია რუსეთში გაიტანა.

1. ეს პიროვნება უკვე დაკავებულია და მას ბრალი აქვს წარდგენილი 4 მუხლით: საქართველოს სსკ-ის 237-ე მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება-მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო გადაზიდვა; 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თაღლითობა; 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება.



ის, რომ მან მნიშვნელოვანი მასალები ქვეყნიდან გაიტანა, არის დიდი ტყუილი. აღნიშნული პირის დაკავება სწორედ სუს-ის აქტიური მუშაობის შედეგად განხორციელდა და წინასწარ არ მოხდებოდა დაანონსება, თუ როგორ და რა ფორმით ვაპირებდით მის დაკავებას.

2. ეს პირი მუშაობდა ღია წყაროებზე, რომ დაგიკონკრეტოთ, ღია წყაროები ნიშნავს იმ ინფორმაციას, რაც მედიით ყველასთვის არის ხელმისაწვდომი. მას სამსახურებრივად არ ჰქონდა წვდომა საიდუმლო დოკუმენტაციაზე, შესაბამისად, ვერ გაიტანდა მნიშვნელოვან ინფორმაციას.

3. რაც შეეხება იმას, დაისვა თუ არა ამ თემაზე კითხვები, პარლამენტში ბატონი ლევან იზორიას გამოსვლისთვის რომ მოგესმინათ, ნახავდით, რომ აღნიშნულ კითხვას ბატონმა ლევანმა უკვე გასცა პასუხი.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბატონ ლევან გვაზავას აღნიშნული განცხადების გაკეთებამდე ინფორმაციის გადამოწმება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში არც კი უცდია და თუ აქვს მცირედი ინტერესი, გაიგოს სიმართლე, ვურჩევდი მას, მომავალში, სანამ მსგავს მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრებს, ინფორმაცია გადაამოწმოს იმ უწყებაში, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხება.

# გიორგი კვირიკაშვილი: „ივანიშვილის დაბრუნება ქართულ პოლიტიკას წაადგება“

– ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი დღევანდელ პოლიტიკაში ძალიან მნიშვნელოვანია. მე არ ვაპირებ იმის თქმას, რომ ეს ასე არ არის, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

– ბიძინა ივანიშვილმა ძალიან ბევრი გააკეთა ქართულ პოლიტიკაში და, ვფიქრობ, კიდევ არაერთ სასიკეთოს გააკეთებს.

რაც შეეხება ჩემს მასთან ურთიერთობას, მე ყოველთვის მქონდა მასთან ღია, გულწრფელი ურთიერთობა. არასდროს ვერიდებოდი მასთან დებატებს და არაერთ საკითხზე მქონია ძალიან მწვავე კამათი – მისი მხრიდანაც არასდროს ყოფილა ეს უარყოფითად მიღებული.

როგორც კვირიკაშვილმა აღნიშნა, მას არასოდეს დაუმალავს საკუთარი პოზიცია პრინციპულ საკითხებთან მიმართებით ბიძინა ივანიშვილთან.



– არ გამიკეთებია კომპრომისი იმ კუთხით, რომ არ მეთქვა სიმართლე. რაც შეეხება მის ჩართულობას ქართულ პოლიტიკურ მომავალსა და წინასაარჩევნო პროცესში, ეს მხოლოდ დადებითი იქნება. ის გახლავთ „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და მას აქვს მორალური უფლება, საკუთარი მოსაზრებები და მხარდაჭერა გამოთქვას. ამას, მგონი, ვერავინ აუკრძალავს, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

პრემიერი პრორუსულ ორიენტაციაში ბიძინა ივანიშვილის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებსაც გამოეხმაურა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლადო სადღობელაშვილი: „ხადური ნაციონალებს გაურიგდა“

შორენა მარსაგიშვილი

**არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობა“ ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს ნაციონალებთან გარიგებაში ადანაშაულებს. მინისტრის საქციელით აღშფოთებული ორგანიზაციის წევრები დღეს, 18 აპრილს, ფინანსთა სამინისტროს წინ აპირებენ აქციის გამართვას.**

**ორგანიზაციის ლიდერი ლადო სადღობელაშვილი პირობას დებს, რომ ხადურს ცხელი ორშაბათი გაუთენდება.**

— ცოტა ხნის წინ ჩვენ მოვიპოვეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფინანსთა სამინისტრომ რამდენიმე ნაცბიზნესმენს მილიონები ჩამოაწერა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთ მათგანს 10 მილიონი ჩამოაწერეს. დავინტერესდით, რატომ მოიქცა სახელმწიფო ასე. საკითხის გასარკვევად ჩვენ ფინანსთა სამინისტროში ოფიციალური წერილი გავაგზავნეთ, — აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში სადღობელაშვილი.

წერილამდე „თავისუფალი თაობის“ წევრებმა სატელეფონო კომუნიკაცია დაამყარეს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელ ხატია მოისწრაფიშვილთან.

— ხატია მოისწრაფიშვილს მივმართე მარტივი ორი კითხვით: 1) რატომ ჩამოეწერა ბიზნესმენს 10 მილიონ ლარიანი საგადასახადო დავალიანება 2015 წელს? და 2) რომელ ბიზნესმენებს ჩამოეწერათ ბიუჯეტის ხარჯზე საგადასახადო დავალიანებები და რატომ? პასუხი იყო ასეთი: „მოგვმართეთ წერილობით და გაგეცემათ პასუხი“, ამასთანავე, ქ-მა ხატიამ საუბარში დამიყოლა, რომ თურმე რიგი ასეთი ტიპის მინისტრის ბრძანებები არ არის საჯარო ინფორმაცია, — აღნიშნავს „თავისუფალი თაობის“ ლიდერი.

მისი განმარტებით, განსაკუთრებით გამაღიზიანებლად ჟღერს ფრაზა — ინფორმაცია საჯარო არ არის.

— რას ჰქვია, ინფორმაცია საჯარო არ არის? რა, ხადური საზოგადოებას უმალავს ბიზნესმენთა სახელებსა და თანხობრივ რაოდენობას და მალავს საკუთარ ფარულ ურთიერთობებს მათთან? — კითხულობს სადღობელაშვილი.

მისი მტკიცებით, ხადურის მიერ ნაცბიზნესმენებზე ნაპატიები საგადასახადო დავალიანება 1 მილიარდ ლარს აჭარბებს.

ის ფინანსთა სამინისტროდან მოსულ პასუხსაც ასაჯაროებს და იმედოვნებს, რომ საზოგადოება თავად გააკეთებს დასკვნებს.

— ჩვენს წერილზე სამინისტროდან ასეთი პასუხი მივიღეთ — რაც შეეხება იმ პირთა სიის გასაჯაროებას, რომლებსაც ჩამოეწერათ საგადასახადო დავალიანება, გაცნობებთ, რომ სსკ-ის 39-ე მუხლის შესაბამისად, „საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა გადასახადის გადამხდელის სტატუსისა, სახელწოდებისა, მისამართისა, საიდენტიფიკაციო ნომრისა, საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული საჯარო ინფორმაციისა, მისი საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან განეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას“, — აცხადებს „თავისუფალი თაობის“ ლიდერი.

სადღობელაშვილი ინფორმაციის გასაიდუმლოებით ძალიან აღშფოთდა და საერთოდ შოკში ჩავარდა, როდესაც გაიგო, რამდენი ვალი ჩამოაწერა ხელისუფლებამ გაურკვეველი წარმოშობის ბიზნესმენებს.

— ვიღაცამ ინტერპრეტაცია რომ არ დამდოს ბრალად, თქვენს მკითხველს ფინანსთა სამინისტროდან მოსული წერილიდან კიდევ ერთ ამონარიდს შევთავაზებ. ხადურის უწყება გვწერს: 2016 წლის 12 აპრილის მდგომარეობით საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე მიხედვით უკვე 18.864 გადასახადის გადამხდელს ჩამოეწერა საგადასახადო დავალიანება ჯამში 1.102.227.999 ლარი, — აღნიშნა სადღობელაშვილმა.

მისი თქმით, რამდენიმე მილიონზე რომ ყოფილიყო საუბარი, შესაძლოა, ხმა არ ამოეღო, მაგრამ, როცა ციფრი ასეთი დიდია, გაჩუმება დანაშაულია.



## „ფინანსთა სამინისტრომ ბიზნესმენებს მილიარდზე მეტი ვალი ჩამოაწერა“

— საქართველოს ბიუჯეტი არის 7 მილიარდი. გაურკვეველი წარმოშობის ბიზნესმენებს მილიარდზე მეტ ანუ ბიუჯეტის მეშვიდედი ჩამოაწერეს. გესმით, ეს რას ნიშნავს? ეს არის ფარული გარიგება სახელმწიფოს წინააღმდეგ! — მიიჩნევს არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერი.

მას იმედი აქვს, რომ ფინანსთა სამინისტროსთან გამართული აქციის შემდეგ ხადურს ინფორმაციის გასაჯაროების სურვილი გაუჩნდება.

„თავისუფალი თაობის“ ლიდერს იმისიც სჯერა, რომ ამ საქმით სათანადო ორგანოებიც დაინტერესდებიან.

**ლადო სადღობელაშვილი:**

— საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ბატონი ხადური ნაციონალური მოძრაობის კარის ბიზნესმენებს გაურიგდა და ფინანსური დავალიანებები ჩამოაწერა, გარიგება კი, როგორც მოგეხსენებათ, ორმხრივ შეთანხმებას ეფუძნება თუკი ხადურმა დავალიანებები ჩამოაწერა ფსევდობიზნესმენებს, სანაცვლოდ რას უნდა ელოდეს? ალბათ, „ატკატს“.

სადღობელაშვილის აზრით, როდესაც საკითხი საზოგადოების ასეთ ინტერესს იწვევს, მინისტრი ვალდებულია, განმარტება გააკეთოს და ნათელი მოჰფინოს არსებულ კითხვებს, თუკი სიმართლე მის მხარესაა, მაგრამ სიმართლე და ფინანსთა მინისტრი ვერ მეგობრობენ და ხადურიც ცდილობს, საგადასახადო საიდუმლოებებს ამოაფაროს გარიგებები ყოფილ და ამჟამინდელ ნაცბიზნესმენებთან.

— ხადურის სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ საზოგადოება თავს არ დაიბრმავებს, ჩვენ მოვითხოვთ, დასრულდეს ერთხელ და სამუდამოდ ნაცბიზნესმენების უსაზღვროდ დიდი პრივილეგიებით სარგებლობა, — აცხადებს არასამთავრობოს ლიდერი.

◆ ◆ ◆

ლადო სადღობელაშვილი იმ ბიზნესმენებსაც ასახელებს, რომლებსაც ხელისუფლება განსაკუთრებულად ტკბილად ექცევა.

— ლაურა ლაჭავას ხელისუფლება პირდაპირ აფარებს ხელს. ეს ქალი 90-იანი წლებიდან თავზე აზის ქვეყანას. მისმა შვილებმა რაც დამართეს ქვეყანას, კარგად ვიცით. ამის მიუხედავად, ის მაინც ყველა პრივილეგიით სარგებლობს. მას კაპიკებში მიჰყიდეს „პირიმზის“ შენობა, სადაც ერთ-ერთ სართულზე ნაციონალების ოფისი გახსნა, — ამბობს „თავისუფალი თაობის“ ლიდერი.

მას დმანისის მაჟორიტართანაც აქვს პრეტენზიები და ამტკიცებს, რომ „ოცნების“ მიერ წახალისებული დეპუტატი დღემდე ნაცმოძრაობას აფინანსებს.

სადღობელაშვილი ბიზნესმენ თემურ კოხოძის პოლიტიკურ გეგმებსაც ამხელს. მისი თქმით, ეს უკანასკნელი ქუთაისის მაჟორიტარობისთვის აპირებს ბრძოლას.

— ქუთაისში მისი კანდიდატურის დაყენების კატეგორიული წინააღმდეგი იყო გუბაზ სანიკიძე. ახლა ის საპარლამენტო უმრავლესობაში აღარ არის და კოხოძეს თავისუფლად შეუძლია, იყაროს კენჭი, — აღნიშნავს სადღობელაშვილი.

# როდის გადადგებიან რესპუბლიკელი მინისტრები?

გუშინ, 17 აპრილს, რესპუბლიკელებმა ჩაატარეს პარტიული კონფერენცია „დემოკრატიული მოდერნიზაციისთვის“.

— სანამ ჩავთვლით, რომ საჭიროა, ქვეყნის მართვაში მივიღოთ მონაწილეობა, ჩვენ ამას გავაგრძელებთ, — ასე უპასუხა პარლამენტის თავმჯდომარემ, რესპუბლიკელთა ერთ-ერთმა ლიდერმა დავით უსუფაშვილმა კითხვას იმის თაობაზე, თუ როდის დატოვებენ რესპუბლიკელი მინისტრები მთავრობის შემადგენლობას.

უსუფაშვილის განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით კონკრეტული თარიღი არ არსებობს. მისივე თქმით, საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, პარტიისთვის პრიორიტეტული სწორედ საარჩევნო საკითხები გახდება.

— რესპუბლიკელები ვართ პასუხისმგებელი საქართველოს მოსახლეობასთან. მომავალ არჩევნებზე მივდივართ იმისთვის, რომ მოქალაქეებისგან რაც შეიძლება მეტი ნდობა მივიღოთ და მეტი წონა და გავლენა გვქონდეს პარლამენტშიც და მთავრობაშიც, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.



## უსუფაშვილი: „არჩევნებზე რესპუბლიკელები ცალკე გამოვალთ“

კონფერენციის ძირითადი, დახურული ნაწილი სწორედ პარტიის საარჩევნო გეგმებსა და ამოცანებს მიეძღვნა.

— მომავალ საპარლამენტო არჩევნებში რესპუბლიკურ პარტიას ამომრჩეველი დამოუკიდებლად იხილავს. ჩვენი კანდიდატები წარდგენილი იქნებიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში. როგორც ყველა პარტია, ჩვენც ვიზრუნებთ იმისთვის, რომ მეტმა ქართველმა, საქართველოს მეტმა მოქალაქემ დაინახოს რესპუბლიკური პარტიის საჭიროება საქართველოს პარლამენტში და მთავრობაში. ამისთვის რესპუბლიკური პარტია ყველაფერს გააკეთებს, — განუცხადა ჟურნალისტებს დავით უსუფაშვილმა.

მისივე განმარტებით, საარჩევნო სიასთან და კონკრეტულ კანდიდატებთან დაკავშირებით საუბარი ჯერ ნაადრევია. როგორც უსუფაშვილმა თქვა, რესპუბლიკურ პარტიას გააჩნია კარგად ჩამოყალიბებული პარტიული ინფრასტრუქტურა და რაიონული ორგანიზაციები.

— ახლა არის ის დრო, როცა ამ ორგანიზაციების საარჩევნო რელსებზე გადაწყობა უნდა მოხდეს და კანდიდატურებიც ნელ-ნელა გამოვლინდებიან, — აღნიშნა უსუფაშვილმა.

პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე ამ ეტაპზე არ აკონკრეტებს, იქნება თუ არა პარტიის საარჩევნო სიაში სამივე რესპუბლიკელი მინისტრი.

როგორც ამასთან დაკავშირებით სამნიძემ ინტერპრესნიუსს განუცხადა, სიის ფორმირების პროცესი პარტიაში არ დაწყებულა. სამნიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ საკითხზე გადაწყვეტილებას პარტიის ეროვნული კომიტეტი მიიღებს.

— დიდი ალბათობაა იმისა, რომ სიაში სამივე ან რომელიმე მინისტრი იქნება. გადაწყვეტილება მათთან და პარტიის ეროვნულ კომიტეტთან შეთანხმებით იქნება მიღებული, — აღნიშნა ხათუნა სამნიძემ.

რესპუბლიკური პარტია მთავრობის შემადგენლობაში თინა ხიდაშელის, პაატა ზაქარეიშვილისა და გიგლა აგულაშვილის სახით არის წარმოდგენილი.

# „გირჩები“ კოალიციის შექმნას არ აპირებენ



ახალი პოლიტიკური ცენტრის „გირჩის“ თავმჯდომარე ზურაბ ჯაფარიძე გამორიცხავს, რომ წინასაარჩევნოდ „გირჩმა“ რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან კოალიცია ან ბლოკი შექმნას. ამის შესახებ ჯაფარიძემ „გირჩის“ ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარედ მისი არჩევის შემდეგ განაცხადა.

ჯაფარიძის თქმით, „გირჩის“ მიზანი არ არის ნებისმიერი ხერხით პარლამენტში მოხვედრა, მისი მიზანია თავისი ხედვებისა და პრინციპების დაცვა და მოსახლეობამდე მიტანა. ჯაფარიძის თქმით, მთავარია, თუ რა მხარდაჭერას მოიპოვებს „გირჩი“ მოსახლეობისგან.

— ჩვენ პირველი ოფიციალური ყრილობა გვაქვს. დღეს უკვე დარეგისტრირდება „გირჩი“ ოფიციალურად. 17 აპრილიდან დავიწყებთ აქტიურ პოლიტიკურ კამპანიას. ჩვენ გვაქვს ყველაზე კარგი, ზუსტად გათვლილი ეკონომიკური პროგრამა, როგორიც არ ჰქონია არავის და არც აქვს დღეს. ჩვენი მიზანია, რომ ჩვენი გზავნილები მივიტანოთ რაც შეიძლება ბევრ მოქალაქემდე და ჩვენთვის მნიშვნელოვანია შეხვედრა და კომუნიკაცია მოსახლეობასთან, — განაცხადა „გირჩის“ თავმჯდომარემ.

ჯაფარიძის თქმით, 17 აპრილიდან დაიწყო რეგიონებში აქტიური კომუნიკაცია მოქალაქეებთან და ამისთვის პარტია ყველანაირ ხერხს გამოიყენებს. ჯაფარიძის თქმით, იქნება შეხვედრები ოფისებში, კომუნიკაცია სოციალური ქსელით და ა.შ.

ჯაფარიძის განმარტებით, „გირჩი“ იქნება იმაზე აქტიური, ვიდრე აქამდე ყოფილა.

**ინტერპრესნიუსი**

# თამაზ მეჭიაური: „პრეზიდენტის ფონდი მისი ხელსაქმიდან შემოსული ფულით არ არის შევსებული“



გიორგი მარგველაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ თუ მთავრობას არჩევნების ადმინისტრირების დაფინანსების საკითხში პრობლემა შეექმნება, ის მზადაა, მას პრეზიდენტის ფონდიდან დაეხმაროს, უმრავლესობის წევრი თამაზ მეჭიაური გამოეხმაურა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის თქმით, პრეზიდენტის ფონდი მარგველაშვილის საკუთრება არ არის და მან საარჩევნო კამპანიის 5 თვით ადრე დაწყებისთვის ქვეყნის ბიუჯეტი არ უნდა ხარჯოს:

— მაგას საიდან აქვს ბიუჯეტი, ვერ გავიგე, რამე ფული იშოვა სადმე თავისი? პრეზიდენტის ფონდი იგივე ბიუჯეტია და ჩვენი გადახდილი ფულით არის შევსებული და არა მისი ხელსაქმიდან შემოსული თანხით. თუ რამე სხვა ფული გააჩინა, მაშინ ადგეს და აქედან გამომდინარე დააფინანსოს საარჩევნო კამპანია და არა ჩვენი ფული ხარჯოს. ასე თამამად რომ ლაპარაკობს — ჩემი ფონდიდან დავხარჯავო, სადაა, ნახოს, მოიძიოს ჯერ თავისი ფული. — განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

შეგახსენებთ, საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ახალ განკარგულებას 2016 წლის მაისში გამოსცემს. მისივე თქმით, თუ მთავრობას ექნება რაიმე პრობლემა ფინანსებთან დაკავშირებით, მზად არის, პრეზიდენტის ფონდიდან დაეხმაროს.

— ეს იქნება დადებითი, რადგან 5 თვით ადრე დავიწყებთ საარჩევნო კამპანიას. ეს იქნება დადებითი საარჩევნო გარემოსთვისაც, ხოლო თუ კიდევ რაიმე კითხვა იქნება ფინანსური, მე მზად ვარ, შევეხიდო მთავრობას ამ არჩევნების ადმინისტრირების დაფინანსების ნაწილში ჩემი ფონდიდან. მთავრობას მაისის დასაწყისამდე აქვს შესაძლებლობა, რომ ამ თვალსაზრისით ყველანაირად მოემზადოს, — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

**ნიუპოსტი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სოხუმში აფხაზ დეპუტატს მანქანა აუფეთქეს

შორენა მარსაგიშვილი

**აფხაზეთში კრიმინოგენური ვითარება მკვეთრად არის გაუარესებული. შესანიშნავ მდგომარეობაში მყოფ კრიმინალს ვერც შს მინისტრების ხშირი ცვლა შველის.**

**კრიმინალს პოლიტიკური ანგარიშსწორებაც ემატება. აპრილის დასაწყისში პოლიტიკაში ჩართულ ბიზნესმენ ბესლან ბუტბას დაუწვეს მანქანა, 16 აპრილს კი სოხუმის ცენტრში დეპუტატ ალმას ჯაპუას სამსახურებრივი ავტომანქანა ააფეთქეს.**






პარლამენტში ჯაპუა მას შემდეგ მოხვდა, რაც ბესლამ ბუტბა ვიცეპრემიერად გადაიყვანეს.

აქამდე აფხაზეთში რაც არ უნდა მომხდარიყო, ყველაფერი ქართულ სპეცსამსახურებს ბრალდებოდათ. ეს, ალბათ, პირველი შემთხვევაა, როცა თბილისისკენ ხელი არავის გაუშვერია, აფხაზები რუსულ კვალზე ალაპარაკდნენ.

აფეთქება სოხუმის ცენტრში, სერგეი ბაღაფშის სახელობის მოედანზე მოხდა. თავად ჯაპუა არ დაზარალებულა. აფეთქების მომენტში ის მანქანაში არ იმყოფებოდა.

დაშავდა ერთი ქალი, რომელიც ინციდენტის დროს იქ იყო. დაშავებული ქალი რუსეთის მოქალაქე აღმოჩნდა.

ამ ეტაპზე უცნობია, რას აკეთებდა ის ბაღაფშის სახელობის მოედანზე. აფხაზური მედიის ცნობით, ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, საიდანაც პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ გამოწერეს.

როგორც აფხაზეთის შსს განმარტავს, აფეთქების შედეგად კიდევ ორი ავტომობილი დაზიანდა.

აფხაზეთის საგანგებო სიტუაციათა მინისტრის მოადგილე ტიგრან დელიბალტიანის ინფორმაციით, აფეთქების შედეგად გამოწვეულ ხანძარს 2 ავტოცისტერნით აქრობდნენ.

– როცა შემთხვევის ადგილზე მივედით, დეპუტატის კუთვნილი ავტომანქანა უკვე დამწვარი იყო. ცეცხლის ალში იყო გახვეული კიდევ 2 ავტომობილი. ჩვენ სასწრაფოდ დავიწყეთ ხანძრის ჩაქრობა და ადგილზე გამოვიძახეთ სპეცტექნიკა, – აღნიშნავს მინისტრის მოადგილე.

მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ფაქტს სოხუმის პროკურატურა იძიებს.

საგამოძიებო უწყებამ მომხდარს ტერაქტის კვალიფიკაცია მიანიჭა.

პროკურატურის წარმომადგენლების განცხადებით, ტოიოტას მარკის ავტომობილი ჯერჯერობით დაუდგენელი ასაფეთქებელი მოწყობილობით ააფეთქეს.

აფეთქებიდან მოკლე ხანში აფხაზმა დეპუტატებმა პარლამენტის საგანგებო სხდომა მოიწვიეს. სხდომა გუშინ, 17 აპრილს, გაიმართა. სხდომაზე აფხაზეთის მთავარი პროკურორი ალექსეი ლომია იყო მიწვეული.

საგამოძიებო უწყების ხელმძღვანელის ცნობით, დეპუტატის ავტომობილი დისტანციური მოწყობილობით ააფეთქეს.

ლომიას განცხადებით, სპეციალისტებმა შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას რამდენიმე საგანი აღმოაჩინეს, მათ შორის – ასაფეთქებელი მოწყობილობის ნარჩენები.

მთავარი პროკურორის განმარტებითვე, დისტანციური მართვის ასაფეთქებელი მოწყობილობა მანქანის სალონის ქვეშ, მძღოლის სავარძლის უკანა მხარეს იყო დამონტაჟებული.

აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანი მუხამედ კილბა მიიჩნევს, რომ დანაშაულის ავტორებს დეპუტატის მოკვლა არ სურდათ.

– მათ ნებისმიერ დროს შეეძლოთ აფეთქების მოწყობა, მაგრამ ეს გააკეთეს მაშინ, როცა ჯაპუა მანქანაში არ იყო. ეს მაფიქრებინებს, რომ დეპუტატი გააფრთხილეს, – განაცხადა კილბამ.

მისივე ინფორმაციით, ასაფეთქებელ მოწყობილობაში 100-150 გრამი ტროტილი იქნა გამოყენებული. მომხდართან დაკავშირებით სათანადო ორგანოები უკვე აგროვებენ საჭირო ინფორმაციებს.

როგორც აფხაზური მედია წერს, გამოძიება 3 ვერსიაზე მუშაობს. უშიშროების საბჭოს მდივანი ამ ვერსიებს არ ასაჯაროებს.

– გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერსიებზე ჯერ არ ვსაუბრობთ, – ამბობს კილბა.

◆ ◆ ◆

დეპუტატის მანქანის აფეთქებას აფხაზეთში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. სოციალურ ქსელებში სხვადასხვა ვერსიაზეც ალაპარაკდნენ. ერთ-ერთი ვერსიით, ჯაპუას აფეთქების უკან რუსეთის მოქალაქეები დგანან.

– არა მგონია, ეს ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამებოდეს. როდესაც არ არსებობს მტკიცებულებები, ძნელია ვინმესკენ თითის გაშვერა, – განუცხადა ჟურნალისტებს უშიშროების საბჭოს მდივანმა.

მართალია, გამოძიების ვერსიებზე არ საუბრობს, მაგრამ ვარაუდობს, რომ აფეთქება ჯაპუას სადეპუტატო საქმიანობას უკავშირდება.

ბაღაფშის მოედანზე მომხდარ აფეთქებაში რუსულ კვალს ხედავს პარტია „აინარაც“. პარტიის თავმჯდომარე თენგიზ ჯაპუას ცნობით, დეპუტატს ხშირად ემუქრებოდნენ, რომელიც, თავის მხრივ, უძრავი ქონების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისებას ეწინააღმდეგებოდა.

აფხაზეთში უძრავი ქონების შესყიდვით ძირითადად რუსეთის მოქალაქეები და ეთნიკური სომხები არიან დაინტერესებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პარლამენტმა საგანგებო სხდომა გამართა, სადაც კოლეგის აფეთქებასთან დაკავშირებით საგანგებო რეზოლუცია იქნა მიღებული.

დეპუტატები მომხდარს ტერორისტული აქტის კვალიფიკაციას აძლევენ.

ტერაქტის კვალიფიკაციას აძლევს მომხდარს თავად მანქანააფეთქებულიც. ალმას ჯაპუა პირობას დებს, რომ ვერ დააშინებენ და სათქმელს ყოველთვის ღიად იტყვის.

# ყაზბეგის მაჟორიტარი დეპუტატის ძმა დააკავეს

## დაპირისპირება მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების გამო

შორენა მარსაგიშვილი

**ყაზბეგში სიტუაცია დაიძაბა. მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების გატარების გამო რამდენიმე სოფელი, შესაძლოა, მოსახლეობისგან საერთოდ დაიცალოს.**

**დასაცლელ სოფელთა ნუსხაში სოფელი ცდოც შევიდა, სადაც ბოლო დღეებში მოვლენები დრამატულად განვითარდა.**

საქმე ის გახლავთ, რომ 220-მეგავატიანი სიმძლავრის სადენების გაყვანა სოფლის შუაგულში დაიწყეს. საუბარია დარიალი-სტეფანწმინდის ჰესის მშენებლობისთვის საჭირო სადენებზე. ადგილობრივი მცხოვრებლები სადენების გასაყვან ალტერნატიულ სივრცეზე საუბრობენ, რაც ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა, თუმცა მეტ თანხებთან იქნება დაკავშირებული, რის გაღებასაც ხელისუფლება არ აპირებს.



სიტუაციის დასარეგულირებლად ხელისუფლებამ ყაზბეგში ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი მიავლინა, რომელმაც თავისი განცხადებებით ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა.

როგორც „ახალ თაობას“ ადგილობრივებმა განუცხადეს, 15 აპრილს მათ ელოშვილი დაემუქრა. ამის მიუხედავად, 16 აპრილს საპროტესტო აქცია მაინც გაიმართა.

აქციის მიუხედავად, სამუშაოების განმახორციელებელმა კომპანიამ დარიალი-სტეფანწმინდის 220 კვტ-იანი გადამცემი ხაზის აშენებისთვის საჭირო ტექნიკა ცდოში მაინც შეიყვანა და სამშენებლო სამუშაოები დაიწყო.

აქცია გუშინ, 17 აპრილსაც, გაგრძელდა. წინა დღისგან განსხვავებით, აქციის მონაწილეებთან ელოშვილი არ გამოჩენილა. სამაგიეროდ, სოფელში მივიდა პოლიცია, რომელმაც აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ზაზა წიკლაური დააკავა.

ზაზა წიკლაური ყაზბეგის მაჟორიტარი დეპუტატის ძმაა.

დაკავებას უკანონოს უწოდებს აქციის მონაწილე შოთა ბუჩუკური.

ბუჩუკურის თქმით, ცდოს მცხოვრებლები მშვიდობიან აქციას მართავდნენ, როცა სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენლებმა პოლიცია გამოიძახეს და ზაზა წიკლაური დააკავეს იმ მოტივით, რომ სამუშაოების მიმდინარეობას ხელს უშლიდა.

შსს-ს ინფორმაციით, ყაზბეგის რაიონის სოფელ ცდოში საპროტესტო აქციის მონაწილე ზაზა წიკლაური პოლიციის დაუმორჩილებლობისთვის არის დაკავებული.

როგორც შსს-ში განაცხადეს, ზაზა წიკლაური პასუხისგებაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით მიეცა. აღნიშნული მუხლი გულისხმობს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას.

ამ დაკავების მიუხედავად, ადგილობრივები აცხადებენ, რომ აქციებს არ შეწყვეტენ.

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე სინდისსა და კაცობას იფიცებს და ამტკიცებს, რომ ეს გადამცემი ხაზი სოფელს პრობლემას არ შეუქმნის.

ილია ელოშვილის მტკიცებით, გადამცემი ხაზი სოფლის ახლოს ადრეც გადიოდა, ახალი ხაზი კი უფრო მოშორებით გაივლის.

# ირმა ინაშვილი: „ოცნებას“ ვისთან დასჭირდება თანამშრომლობა, ამას მხოლოდ ღმერთი გადაწყვეტს“



პრემიერ-მინისტრის განცხადებას „არჩევანის“ ეთერში უპასუხა „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა. გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ის არ აპირებს თანამშრომლობას ნინო ბურჯანაძის პარტიასთან და „პატრიოტთა ალიანსთან“.

– მომავალში პარლამენტში რა იქნება და ვისთან დასჭირდება თანამშრომლობა, ამას ვერც ბატონი კვირკაშვილი განსაზღვრავს და ვერც მე. ამას მარტო ღმერთი გადაწყვეტს, – ამბობს ინაშვილი.

**ნიუპოსტი**

# იგორ მურადიანმა შეიარაღებული ძალები დაგვიწუნა

სომეხ ანალიტიკოს იგორ მურადიანის განცხადებით, დღეს საქართველოში რიგი ქრონიკული პრობლემებია, რომელთა მოგვარება, თუ ქვეყნის მართვის, ეკონომიკისა და უსაფრთხოების ამჟამინდელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, ძალიან საეჭვოა.

მურადიანის სტატიას გავლენიანი სომხური გამოცემა „Lragir“-ი აქვეყნებს.

– საქართველოში ძირითად პრობლემებს მიეკუთვნება: მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, არაქმედებაუნარიანი შეიარაღებული ძალები და უშიშროების ორგანოები, ეთნიკური პრობლემები, შიდაპოლიტიკურ სტაბილურობისა და ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა ევროპელებს ხაზგასმულად არ მიაჩნიათ ისეთ პრიორიტეტულ ამოცანად, რომელიც დაჩქარებულ გადაჭრას მოითხოვს. ევროპული თანამეგობრობა დღეს მზად არ არის და არც შეუძლია კონცენტრირებული იყოს საქართველოს ტერიტორიული პრობლემის მოსაგვარებლად, რადგან არის საფრთხე, რომ დასავლეთი შეიძლება აქაურ კონფლიქტებში ღრმად ჩაეფლოს, რასაც, სავარაუდოდ, შეიარაღებული ძალების გამოყენება მოჰყვება.



არც დღეს და არც უახლოეს მომავალში ევროპული ქვეყნები თავიანთი შეიარაღებული ძალებით საქართველოს პრობლემების მოგვარებაში მონაწილეობას არ მიიღებენ. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს მდგომარეობა არც ევროპისათვის, არც ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და არც მათი მოკავშირეებისა თუ პარტნიორებისათვის რაიმე საფრთხეს არ წარმოადგენს. კი, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სიტუაცია დაძაბულია, მაგრამ სავსებით მართვადი. დასავლეთისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს აჭარაში არსებულ სიტუაციას, რომელიც ნავთობის ექსპორტსა და „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ პროექტს უკავშირდება, – მიიჩნევს ექსპერტი.

**ნიუსპრესი**

# ზვიად კვაჭანტირაძე: „არასაპარლამენტო ოპოზიციასთან კომუნიკაცია შედგება“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ზვიად კვაჭანტირაძის განცხადებით, კვირის დასაწყისში, ალბათ, შედგება კომუნიკაცია არასაპარლამენტო ოპოზიციასთან.

ამის შესახებ კვაჭანტირაძემ ჟურნალისტებთან პრემიერ-მინისტრის მიერ უმრავლესობის წევრებთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

– ძირითადი საკითხები იყო უპირველესად შიდასაპარლამენტო საკითხების განხილვის პერსპექტივა უახლოეს სესიაზე, მათ შორის არის მნიშვნელოვანი საკითხები. ასევე იყო საარჩევნო კოდექსთან და არასაპარლამენტო ოპოზიციის შენიშვნების განხილვა საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით. ამაზეც, ჩემი აზრით, დღეს კიდევ უფრო წინ წავიწიეთ და მომავალი კვირის დასაწყისში, ალბათ, შედგება კომუნიკაცია და, ვფიქრობ, რომ იქნება პოზიტიური განხილვა, – განაცხადა კვაჭანტირაძემ.

**მედიანიუსი**

# მამუკა კაციტაძე: „ხელისუფლების პასუხს ველოდებით“

## „პოლიტიკური ბრძოლა ჩვენთვის უცხო არ არის“

ნათია ხურცილავა

პარტია „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით მოვლენების განვითარებაზე საუბრობს.

***— ბატონო მამუკა, რამდენიმე დღის წინ თქვენ შეხვდით პრემიერ კვირიკაშვილს. როგორი იყო პრემიერის პოზიცია ინტერპარტიული ჯგუფის წინადადებების პაკეტზე?***

— საუბარია 4 თემაზე, მაგრამ თავის დროზე ალტერნატიული ვარიანტებიც შევთავაზეთ ხელისუფლებას, ამით „ქართულ ოცნებას“ არჩევანის თავისუფლება მივეცით. ამასობაში კოალიცია დაიშალა, ჩვენ ვთხოვეთ ხელისუფლებას, რომ კოალიციის დაშლა არ გამხდარიყო ამ პროცესის შეჩერების მიზეზი. 15 აპრილი იყო ბოლო ვადა — ან უნდა შევთანხმებულიყავით, ან შეთანხმება ვერ შედგებოდა.

***— ამ შეხვედრაზე განხილვის საგანი რა იყო?***

— ბუნებრივია, ჩვენ მიერ შეთავაზებული წინადადებები. პირველი, საარჩევნო სისტემა; მეორე, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესის შეცვლა; მესამე, ბარიერის საკითხი, როგორც პარლამენტში შესვლის ბარიერის დაკლების საკითხი, ასევე კვალიფიციური სუბიექტის სტატუსის განსაზღვრის ბარიერის შემცირება; მეოთხე, სარეკლამო-საეთერო დროის თანაბრად განაწილება, ასევე საარჩევნო კომისიებში თანაბარი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.

***— რას იზიარებს ხელისუფლება ამ წინადადებებიდან და რას — არა?***

— ამ შეხვედრაზე ყველა თემაზე ვიმსჯელეთ. ჩემ მიერ ჩამოთვლილი სამი თემიდან პრემიერის მხრიდან მზაობა იყო დაფიქსირებული, რომ ამ საკითხებზე შეთანხმება შესაძლებელია.

***— გადაუწყვეტელი რჩება საარჩევნო სისტემა — როგორი სისტემით ჩატარდება არჩევნები, მაჟორიტარულით თუ პროპორციულით?***

— მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე დაიწყო მოლაპარაკებები, რთული იყო ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის საერთო წერტილების მოძებნა.

***— მაჟორიტარული სისტემის გაუქმებაზეა თქვენი მხრიდან საუბარი, რაზეც არ მოდის ხელისუფლება. ალტერნატიული ვარიანტი შესთავაზეთ?***

— ცხადია, შევთავაზეთ. ჩვენ ოთხივე შეთავაზებაზე გვაქვს ალტერნატიული ვარიანტები. ჩვენ მიერ სამი სხვადასხვა ვარიანტია წარდგენილი.

***— რა ვარიანტებია?***

— ძირითადი ვარიანტია, გაუქმდეს მაჟორიტარული სისტემა და მის ნაცვლად იყოს სამხარეო-პროპორციული. ეს წინადადება, როგორც საკონსტიტუციო ცვლილება, ინიცირებული გვაქვს პარლამენტში 200 ათასი ხელმოწერით.

მეორე — რჩება ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქები და ასევე რჩება პროპორციული, როგორც დღეს არის, მაგრამ იცვლება მანდატთა განაწილების წესი, რასაც ჰქვია გერმანული მოდელი, როგორც გერმანიაში ნაწილდება მანდატები არჩევნების შემდეგ, პროცენტულად პარტია იღებს იმდენ მანდატს, რამდენი პროცენტიც მიიღო.

მესამე ვარიანტი არის, რომ პროპორციულ მანდატებს მოვუმატოთ და შევამციროთ მაჟორიტარები პარლამენტში.

მიუხედავად ასეთი შეთავაზებისა, ხელისუფლებას უჭირს შემხვედრი ნაბიჯის გადმოდგმა სისტემასთან დაკავშირებით.

***— ბატონო მამუკა, როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

— ფინალი ორიდან ერთი იქნება: ან შეთანხმების დოკუმენტი გაფორმდება ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის, ან გაგრძელდება ბრძოლა ყველა იმ საშუალებითა და მეთოდით, როგორც ადრე გვიბრძოლია და ეს ჩვენთვის უცხო არ არის.

ეს გზა სახელმწიფოს, მის პოლიტიკასა და განსაკუთრებით 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს ნამდვილად არ წაადგება და დადებითი ეფექტის მომხდენი ვერ იქნება.

არჩევანი ახლა ხელისუფლებაზეა და არა — ჩვენზე.

***— ინტერპარტიულ ჯგუფში როგორია განწყობა? იქ მკვეთრ განცხადებებს აკეთებდნენ და მოსალოდნელ პროტესტს აანონსებენ.***

— ინტერპარტიულ ჯგუფში მე და პრემიერს შორის გამართული შეხვედრის შემდეგ პოზიტიური მოლოდინი დააფიქსირეს, თუმცა იყო გარკვეულ საკითხებზე მათი ნეგატიური განწყობებიც.

***— საპროტესტო აქციების შესახებ იყო საუბარი?***



— ამაზე საუბარი არა მხოლოდ დღეს ყოფილა, არამედ სულ არის. პოლიტიკური ბრძოლა უცხო არ არის ჩვენთვის. ჩვენ ბევრი გვიბრძოლია და, თუ კიდევ გახდა საჭირო, ნამდვილად არ დავიხევთ უკან.

# „სტუდენტური თვითმმართველობა ამ მახინჯი სახით არ უნდა არსებობდეს“

**გუშინ, 17 აპრილს, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი „აუდიტორია 115“-ს შეხვდა. შეხვედრაზე მან სტუდენტებს პროტესტის შეწყვეტა სთხოვა.**

როგორც კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს შეხვედრის დასრულების შემდეგ განუცხადა, სამწუხაროა, რომ უნივერსიტეტის ზოგიერთ კორპუსში სასწავლო პროცესი შეჩერებულია.

— სტუდენტური პროტესტი არ არის უცხო რამ. სამწუხაროა, რომ სასწავლო პროცესი ზოგიერთ კორპუსში შეჩერებულია. მე ვთხოვე, შეწყვიტონ პროტესტი და გარკვეული გარანტიებიც გავეცი ჩემი მხრიდან იმაზე, რაზეც ვისაუბრე. თუ ისინი გაიზიარებენ ჩვენ თხოვნას, ძალიან კარგი იქნება, — აღნიშნა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, ის შეხვდა რექტორის მოვალეობის შემსრულებელსაც და მცირეხნიან შეხვედრაზე არსებულ პრობლემებზე ისაუბრა.

„აუდიტორია 115“-ის წევრები და პრემიერ-მინისტრი რამდენიმე საკითხზე შეთანხმდნენ. ერთ-ერთი შეთანხმების თანახმად, სტუდენტები შექმნიან სამუშაო ჯგუფს და ამ ჯგუფთან პრემიერ-მინისტრი მომავალ კვირას შეხვედრას გამართავს.

— ძალიან საინტერესო შეხვედრა იყო, სტუდენტების მოთხოვნების უდიდესი ნაწილი არის ნამდვილად გულით ნაკარნახევი. მოთხოვნები არის ძალიან საჭირო. მე ყურადღებით მოვისმინე მათი პოზიციები. დიდი ხნის განმავლობაში ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ სტუდენტური თვითმმართველობა იმ მახინჯი სახით, როგორითაც არსებობს, არ უნდა არსებობდეს, — განაცხადა პრემიერმა.

კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ პირადად ჩაერთვება განათლების კანონის შემუშავებაში.

მისი თქმით, სამუშაო შეხვედრა შემდეგი კვირის მეორე ნახევარში გაიმართება, სადაც სამუშაო ატმოსფეროში იქნება საუბარი დაფინანსების პრინციპებზე, განათლების სისტემის კრიტერიუმებზე, სტრუქტურაზე და ა. შ.

— ასევე გვექნება საუბარი უნივერსიტეტებში მმართველობის ორგანოების სტრუქტურაზე და ყველა მტკივნეულ საკითხზე აუცილებლად ერთად მოვილაპარაკებთ. ზოგი რაღაც შეიძლება მათ გაიგონონ ჩვენი, ზოგს ჩვენ მოვისმენთ, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

◆ ◆ ◆

— თვითმმართველობა ერთი ხელის მოსმით არ უნდა მოისპოს, — ამის შესახებ ჟურნალისტებს პრემიერისა და „აუდიტორია 115“-ის შეხვედრის შეფასებისას თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა შალვა საბაურმა განუცხადა.

მისი თქმით, პროცესში ყველა მხარე უნდა ჩაერთოს.



კვირიკაშვილმა სტუდენტებს პროტესტის შეწყვეტა სთხოვა

— პრემიერის მოსვლა დადებითი ფაქტია. რაც შეეხება მოთხოვნებს, რომ საკანონმდებლო დონეზე მოხდეს არსებული თვითმმართველობის სისტემის გაუქმება ან შეცვლა, აქ საქმე გვაქვს ავტონომიის შინაარსის ვერგაგებასთან, — განაცხადა საბაურმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ ავტონომია გულისხმობს, თავად სტუდენტებმა გადაწყვიტონ, რა მოდელის თვითმმართველობა ჰქონდეთ.

— რაც შეიძლება მეტი ადამიანი უნდა ჩაერთოს ამ პროცესში. თსუ-ში არ უნდა წყდებოდეს, პირობითად, ტექნიკურ უნივერსიტეტში როგორი თვითმმართველობა იქნება. ეს არის ცალკეული უნივერსიტეტების გადასაწყვეტი, თვითონ რა მოდელი ექნებათ, — განაცხადა საბაურმა.

რაც შეეხება შეხვედრას, რომელიც მომავალ კვირაში პრემიერსა და სტუდენტებს შორის უნდა გაიმართოს, როგორც საბაურმა აღნიშნა, ვინც დაინტერესებული იქნება, ისინი მზად არიან გააცნონ არსებული სტრუქტურა.

— ჩვენ გვაქვს სურვილი, ვინც დაინტერესდება, გავაცნოთ, არსებული სტრუქტურა რას გულისხმობს. ხარვეზები არის, მაგრამ არა ისე, რომ ერთი ხელის მოსმით უნდა მოისპოს, — განაცხადა საბაურმა.

◆ ◆ ◆

სტუდენტებისა და პრემიერ-მინისტრის შეხვედრასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა თსუ-ს ყოფილმა რექტორმა.

ლადო პაპავა მიესალმება კონსტრუქციულ რეჟიმში მუშაობის დაწყებას. მას თავისი მოსაზრება აქვს განათლების რეფორმასთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ არის საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ მომწიფებას საჭიროებს.

— შეხვედრას არ დავსწრებივარ მაგრამ მე ვიცი სტუდენტებისგან და თვითონ პრემიერისგანაც, რომ მზაობა გამოთქვა მუშაობასთან დაკავშირებით და ვფიქრობ, რომ კონსტრუქციულ დიალოგურ რეჟიმში დავსხდეთ, მე ყოველთვის ამას მოვითხოვდი ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში, — განაცხადა ლადო პაპავამ.

არის საკითხები, რომლებიც გასაკეთებელია და არის საკითხები, რომლებიც ჯერ მომწიფებული არ არის.

— მაგალითად, 2013 წლის კონცეფციას უმაღლესი განათლების რეფორმის, ეგრეთწოდებული დვალის კონცეფციას არასდროს ვიწონებდი და არც დღეს ვიწონებ. თეორიულად ლამაზი კონცეფციაა, მაგრამ საქართველო ამისთვის მზად არ არის, — განაცხადა პაპავამ.

# რუსი ექსპერტი: „ჩვენ წინაშე ცხინვალის შემოერთების მწვავე აუცილებლობა არ დგას“

ანალიტიკური ბიუროს „Alte et Certe“-ს ხელმძღვანელი, პოლიტოლოგი ანდრეი ეპიფანცევი ეხმაურება „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტ“ ლეონიდ თიბილოვის ინიციატივას, რომ უახლოეს ნახევარ წლის განმავლობაში რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეფერენდუმი ჩატარდება, რომლის შედეგები საშუალებას მისცემს „ხელისუფლებას“, მიმართოს მოსკოვს, რუსეთ-სამხრეთ ოსეთის გაერთიანების შექმნის თაობაზე.

ამ თემაზე ეპიფანცევი გამოცემა „Аргументы и факты“-ს კორესპონდენტს ესაუბრა.

— რუსეთის შემადგენლობაში ამა თუ იმ ფორმით შესვლის სურვილი სამხრეთ ოსეთი ყოველთვის ჰქონდა. ადრეც ჩატარდა რამდენიმე რეფერენდუმი, რომელთა შედეგები იმაზე მეტყველებდა, რომ რესპუბლიკა მზადაა, ასეთი ნაბიჯი გადადგას. თუმცა, აქვე შევნიშნავ, რომ სამხრეთ ოსეთში ორი ბანაკი არსებობს: არის ადამიანთა ერთი ნაწილი, რომლებსაც რუსეთის შემადგენლობაში შესვლის სურვილი აქვთ, თანაც სხვადასხვა ფორმითა და ვარიანტით, მეორენი კი აცხადებენ, რომ რესპუბლიკამ თავისი



დამოუკიდებლობა უნდა შეინარჩუნოს. ჩემი მონაცემებით, პირველ ბანაკს მხარს უჭერს მოსახლეობის 90 პროცენტი, მეორეს კი — დაახლოებით 10 პროცენტი. საერთოდ კი, მენტალურად, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა დიდი ხანია თავს რუსეთის ნაწილად მიიჩნევს.

რაც შეეხება ლეონიდ თიბილოვის მიერ ანონსირებულ პროექტს, მის შესახებ საჯარო დისკუსია არ გამართულა, თუმცა თვით იდეა ერთგვარი ზეეროვნული ორგანოს შექმნაზე, რომელშიც სამხრეთ ოსეთი და რუსეთი გაერთიანდებოდნენ და რომელსაც უფლებამოსილებებს გადასცემდნენ, დიდი ხანია არსებობს. ამასთან, მე მინდა გაგახსენოთ, რომ ჩვენ, რუსეთს, სამხრეთ ოსეთთან უკვე ხელი გვაქვს მოწერილი სტრატეგიულ სამოკავშირეო შეთანხმებაზე, რომლის თანახმად, ცხინვალმა მოსკოვს თავისი ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილი გადასცა, მათ შორის თავდაცვის სფეროში უფლებამოსილების დელეგირებაც მოახდინა.

დღეს სამხრეთ ოსეთში სოციალურ სფეროში იგივე იურიდიული სტანდარტები მოქმედებს, როგორიც ჩვენთან, რუსეთშია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ და სამხრეთ ოსეთს შორის სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი სისტემის განსხვავება მინიმიზებულია. პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი გაერთიანების თანმიმდევრული მხარდამჭერია. პერიოდულად იგი რაღაც ინიციატივებით გამოდის ხოლმე. მისი ეს ბოლო განცხადებაც რუსეთთან ინტეგრაციის მიზნითაა გაკეთებული. თუმცა, მართალი გითხრათ, სინამდვილეში ჩვენ წინაშე არ დგას ამის მწვავე აუცილებლობა, — აცხადებს ექსპერტი.

ნიუსპრესი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ლევან სილაგავა: „ადგილობრივი მწარმოებლები ბანკებს რისკჯგუფში ჰყავთ გადაყვანილი“

ქართულმა კომპანიებმა ახალი ბიზნესგაერთიანება – საქართველოს მწარმოებელთა ფედერაცია შექმნეს.

ფედერაციის დამფუძნებლების თქმით, დღეს თითქმის ყველა დარგს დაახლოებით, ერთი და იგივე პრობლემა აქვს – ეს არის ადგილობრივი მწარმოებლების დაცვა არასამართლიანი იმპორტისგან.

ფედერაციის შექმნის მთავარი მიზანი არის ის, რომ სწორი კონკურენციის პირობების ჩამოყალიბებით ადგილობრივი წარმოება განვითარდეს და მოხდეს იმპორტის ჩანაცვლება.

საქართველოს მწარმოებელთა ფედერაცია ამ ეტაპზე 50-მდე მსხვილ კომპანიას აერთიანებს, მათ შორისაა: ფქვილის, კვერცხისა და ხორცის, მინის, კაბელების, არმატურის, ფოლადისა და ცემენტის მწარმოებელი კომპანიები.

ფედერაციის შექმნის მიზნებსა და უახლოეს გეგმებზე „ბანკები და ფინანსები“ ბიზნესგაერთიანების ერთ-ერთ დამფუძნებელ ლევან სილაგავას ესაუბრა.



***– რა გარემოებებმა განაპირობა მეწარმეთა ფედერაციის შექმნა, რა არის ამ ორგანიზაციის მიზანი?***

– ყველა დარგს, ფაქტობრივად, ერთი და იგივე პრობლემა აქვს – ადგილობრივი მწარმოებლები და იმპორტიორები არიან არათანაბარ მდგომარეობაში. ბევრი წარმოება გამოდის ცალ-ცალკე ან ასოციაციების სახით და საუბრობს თავის პრობლემებზე, თუმცა, მათი წუხილი, ქვეყანაში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების გამო, ხშირად ერთ სივრცეში არ ისმის. ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს ცივილურად, საკანონმდებლო დონეზე.

დღეს ჩვენ გვაქვს კანონი კონკურენციის შესახებ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა მივიღოთ კანონი ვაჭრობაში დაცვის ღონისძიების შესახებ. ამ კანონების საფუძველზე, შესაძლებელი იქნება ქართულ ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა.

სწორედ არაჯანსაღი კონკურენტული გარემოა ის პრობლემა, რომელიც შემდგომ სხვა პრობლემებს წარმოშობს. სწორედ ამ პრობლემების მოგვარების მიზნით შეიქმნა საქართველოს მეწარმეთა ფედერაცია, რომელიც ბევრ ასოციაციასა და მწარმოებელს აერთიანებს.

***– დღეისთვის საქართველოში არსებობს მსხვილ ბიზნესმენთა გაერთიანება საქართველოს ბიზნესასოციაცია. ორივე ორგანიზაცია მსხვილი ბიზნესის ინტერესებს იცავს და საერთო მიზანი ან რა განსხვავება იქნება ამ ორ გაერთიანებას შორის?***

– ბიზნესასოციაციის წევრების უმეტესობას იმპორტიორები წარმოადგენენ. მიზეზი ისაა, რომ ქვეყანაში არსებული პროდუქტის 80% იმპორტირებულია. შესაბამისად, ეს თანაფარდობა, ასე თუ ისე, აისახა ასოციაციის წევრთა შემადგენლობაზეც. თუმცა, მე ვერ ვიტყვი, რომ ეს ორგანიზაცია არ მუშაობს. დღეს საჭიროებამ მოიტანა, რომ ცალკე ჩამოყალიბდეს ადგილობრივი მწარმოებლების ფედერაცია, რომელიც გახდება პრობლემების კონსოლიდირებულად მოგვარების გზა.

***– რას გულისხმობთ არასამართლიანი იმპორტისგან დაცვაში?***

– ხშირად შემოდის პროდუქცია, რომელსაც განზრახ შემცირებული ან მწარმოებელი ქვეყნის მიერ სუბსიდირებული ფასი აქვს. ეს ჩვენს ბაზარზე ქმნის არაჯანსაღ გარემოს.

როდესაც ჩვენ შევუერთდით მსოფლიო სასურსათო ორგანიზაციას, ავიღეთ იმ კანონების მიღების ვალდებულება, რომლებზეც ზემოთ ვსაუბრობდი. ეს კიდევ ერთხელ შეგვახსენა ევროპამ, როდესაც გაფორმდა ასოცირების ხელშეკრულება. თავად ევროპული ეკონომიკაც ეყრდნობა დაცვის ამ მექანიზმს. ამის მაგალითია ის, რომ უკრაინისთვის მას დაწესებული აქვს გარკვეული სატარიფო კვოტები, რათა ევროპული წარმოება იყოს დაცული არასწორი იმპორტისგან. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში იმპორტირებული პროდუქტის დიდი ნაწილი უსამართლოდ დაბალ ფასად შემოდის განვითარებადი და პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, ეს კი გვაზარალებს.

***– საკანონმდებლო რეგულაციები ხომ არ გამოიწვევს იმპორტის ხელოვნურად შემცირებას, ხომ არ გახდება ეს ქართველი მწარმოებლების მხრიდან ბაზრის მონოპოლიზების მიზეზი?***

– ჩვენ არ ვსაუბრობთ იმპორტის ხელოვნურად შემცირებაზე. ჩვენ ვითხოვთ ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს. თუკი იმპორტიორებს საქონელი განზრახ შემცირებულ ფასად შემოაქვთ ან მწარმოებელი ქვეყანა მათ შეღავათებს უკეთებს პროდუქციის გასატანად, ამ დროს კი ადგილობრივ წარმოებას ეს შეღავათები არ აქვს, კონკურენცია არათანაბარია.

***– გარდა ზემოთქმულისა, კიდევ რა პრობლემები დგას დღეს ადგილობრივი ბიზნესის წინაშე?***

– არაჯანსაღი კონკურენტული გარემო არის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა და მისი მოგვარება ბევრ სხვა საკითხსაც მოაწესრიგებს. მაგალითად, ეს მეტ-ნაკლებად გადაჭრის ინვესტიციების პრობლემას, რომელიც ასე სჭირდება ადგილობრივ ბიზნესს.

როდესაც ინვესტორი ქვეყანაში შემოდის, ის პირველ რიგში სწავლობს გარემოს, რათა იცოდეს, რამდენად კონკურენტუნარიანი შეუძლია იყოს საწარმოს დაარსების შემთხვევაში, ან რა შესაძლებლობა ექნება ნაწარმის რეალიზაციისთვის. მაშასადამე, თუკი ქართულ ბიზნესს შევუქმნით გარემოს, სადაც ის სამართლიან კონკურენციაში იქნება ჩაბმული, ეს მოაგვარებს ინვესტიციის საკითხსაც.

ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვეძლება თავისუფლად ვიფიქროთ იმპორტის ჩანაცვლების სტრატეგიაზეც, რაც მთავრობის მიერაც არის დაანონსებული.

იმპორტის 80%-იანი მაჩვენებელი სავალალო რიცხვია და აუცილებელიც კია მისი გარკვეულწილად ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოებით. საჭიროა ექსპორტის წახალისებაც. ახლა ხორციელდება პროექტი „აწარმოე საქართველოში“ და ამით ბევრი ქართული კომპანიაც სარგებლობს, მაგრამ თუკი ბაზარზე არსებული სიტუაცია არ დარეგულირდა, წარმოებული პროდუქტის რეალიზება გართულდება.

კარგი წამოწყებაა იაფი აგროკრედიტის პროგრამაც, მაგრამ ამ ყველაფერს სჭირდება საკანონმდებლო მხარდაჭერა.

***– ხშირად ისმის, რომ დღეს, წინა ხელისუფლების მმართველობისგან განსხვავებით, ბიზნესი თავისუფალია. რამდენად ეთანხმებით ამ აზრს?***

– თავისუფალი, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ პრობლემა არის ის, რომ ადგილობრივ ბიზნესს არ აქვს ხელშეწყობა საკანონმდებლო და სწორი, სამართლიანი საბაზრო პრინციპების კუთხით.

ბიზნესის წასახალისებლად ახალი პროექტები კი იგეგმება და ხორციელდება, მაგრამ საბანკო კრედიტებზე ხელმისაწვდომობა ნაკლებია. ამის მიზეზი ისაა, რომ ბაზარზე არსებული სიტუაციის გამო ადგილობრივი მწარმოებლების აბსოლუტური უმრავლესობა ბანკებს რისკჯგუფში ჰყავთ გადაყვანილი.

ამ მიზეზით რამდენიმე კომპანიამ, მათ შორის წისქვილკომბინატმა „თბილისმა“, „იბერიამ“ და სხვებმა მუშაობა შეწყვიტეს. ასეთივე მდგომარეობაა სხვა დარგებშიც.

***– პრემიერმა ბიზნესს რამდენიმე სიახლე შესთავაზა, რომელთაგანაც გამოსარჩევია ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია და რეინვესტირებული მოგების გადასახადისგან გათავისუფლება, ე.წ. ესტონური მოდელის დანერგვა. როგორც შეაფასებდით ამ ინიციატივებს და, როგორ ფიქრობთ, რამდენად გაამართლებს ესტონური საგადასახადო მოდელის საქართველოში დანერგვა?***

– ორივე ინიციატივა ძალიან კარგია და ადგილობრივი მწარმოებლები ამას მივესალმებით. თუმცა, ესტონური მოდელი გულისხმობს იმას, რომ კომპანიამ ეკონომიკის განვითარებაში ჩააბრუნოს თავისი მოგების ნაწილი, მაგრამ როდესაც მწარმოებლები შეჩერებულნი არიან და მოგებაც არ აქვთ, ვერც ვერაფრის რეინვესტირებას შეძლებენ.

კიდევ ერთხელ მივდივართ იქამდე, რომ თუ ადგილობრივი მწარმოებლების პრობლემებს ვერ გავითავისებთ, ესტონური მოდელი პრაქტიკულად გამოუსადეგარი გახდება.

**კომერსანტ.გე**

# რატომ იკლებს სახელმწიფო უნივერსიტეტებში სტუდენტების რაოდენობა

**ბოლო წლებში სახელმწიფო უნივერსიტეტებში სტუდენტების რიცხვი იკლებს, კერძო სასწავლებლებში კი იმატებს.**

**2003-2004 წლებში კერძო უნივერსიტეტებში სტუდენტების წილი სტუდენტთა მთლიან რაოდენობაში 19% იყო, 2011-2012 წლებში კერძო უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა 25% სწავლობდა, 2015-2016 სასწავლო წელს კი მათი წილი უკვე 32%-ია.**



„კომერსანტი“ დაინტერესდა, რა განაპირობებს სახელმწიფო სასწავლებლებზე მოთხოვნის შემცირებას და რატომ იზრდება კერძო სასწავლებლებზე მოთხოვნა.

როგორც ჩვენთან საუბარში განათლების სფეროში მომუშავე ადამიანები აცხადებენ, ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ კერძო სასწავლებლები სტუდენტებს განათლების უკეთეს ხარისხს სთავაზობენ, ვიდრე სახელმწიფო დაწესებულებები. ეს კი განსაკუთრებით რამდენიმე კერძო მიმართულებას ეხება.

როგორც „კომერსანტს“ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე ია ანთაძემ განუცხადა, საქართველოში რამდენიმე უნივერსიტეტი ბევრად კვალიფიციურ ცოდნას აძლევს სტუდენტს, ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტები.

მისივე განცხადებით, ამას ადასტურებს კონკრეტული ფაქტები, ის, თუ რომელი უნივერსიტეტების სტუდენტები საქმდებიან რეალობაში და რა ხელფასები აქვთ მათ.

– იყო დრო, როდესაც დიპლომს, როგორც ქაღალდს, ჰქონდა გარკვეული ფასი, მაგრამ ახლა ეს დამოკიდებულება მცირდება და იზრდება ის ნაწილი, რომელსაც უნივერსიტეტისგან სჭირდება რეალური ცოდნა. უნივერსიტეტები შედიან ერთმანეთთან კონკურენციაში. საზღვრები ღიაა და სტუდენტებს უცხოეთში შეუძლიათ წავიდნენ და მიიღონ განათლება. ამ ფონზე იზრდება იმ ადამიანების წილი, ვისაც სურს, რომ აქვე მიიღოს რეალური განათლება, – აცხადებს ია ანთაძე.

განათლების ექსპერტი სიმონ ჯანაშია მიიჩნევს, რომ დღეს კერძო უნივერსიტეტების რეპუტაცია მაღალია, რადგან მათ ხშირად სწავლის უკეთესი პირობები აქვთ, ვიდრე სახელმწიფო სასწავლებლებს.

მისი შეფასებით, კერძო უნივერსიტეტებს უკეთესი პირობები აქვთ პროფესიური მიმართულებით, სასწავლო სივრცეების, ბიბლიოთეკების კუთხით და ა.შ.

– მეორე ფაქტორი არის ის, რომ კერძო უნივერსიტეტები უფრო ხელმისაწვდომი ხდება როგორც ფინანსურად, ისე გეოგრაფიულადაც – ფილიალები იხსნება სხვადასხვა ქალაქში, შესაბამისად, იზრდება სტუდენტების რაოდენობაც. სახელმწიფო უნივერსიტეტის პრესტიჟი შეიძლება მზარდი არ იყოს, იქ ცვლილებები ნელა ხორციელდება, საზოგადოება ხშირად ხედავს პროტესტს უნივერსიტეტების ხელმძღვანელების მიმართ და ეს უჩენს არასტაბილურობის შეგრძნებას.

ახალგაზრდები, რომლებსაც პროფესორად დასაქმება სურთ, კერძო უნივერსიტეტებს ირჩევენ, რადგან აქ უკეთესი ანაზღაურებაა, – აცხადებს სიმონ ჯანაშია.

მისივე თქმით, სწავლის ხარისხს შორის განსხვავებები არის, თუმცა, ცალსახად თქმა, რომ კერძოში უკეთესი ხარისხია, არ შეიძლება.

– არის მიმართულებები, რომლებიც მეტად არის კერძო უნივერსიტეტებში განვითარებული და პირიქით. მაგალითად, ბიზნესის მიმართულება უფრო კერძო უნივერსიტეტებშია განვითარებული, სოციალური მეცნიერების მიმართულებაში კი ლიდერი ისევ სახელმწიფო უნივერსიტეტებია.

კვლევები კერძო უნივერსიტეტებში ჯერჯერობით არ აინტერესებთ. კერძო უნივერსიტეტებს სხვა პრობლემებიც აქვთ, რაც ხარისხთანაც შეიძლება იყოს დაკავშირებული. ხშირად იმის გამო, რომ მოგებაზე არიან ორიენტირებული, უნივერსიტეტების ნაწილი არასათანადოდ ზრდის სტუდენტების რაოდენობას, რაც ხარისხზე უარყოფითად აისახება, – აცხადებს სიმონ ჯანაშია.

მისივე თქმით, კერძო უნივერსიტეტები წარმოაჩენენ თავს, როგორც ისეთი განათლების მიმცემებს, რის საფუძველზეც ადვილად საქმდებიან სტუდენტები. ისინი უფრო მეტ მექანიზმს ქმნიან კურსდამთავრებულების დასასაქმებლად – აწყობენ ფორუმებს, იწვევენ დამსაქმებლებს და ა.შ.

– დასაქმების მიმართულებით მაღალ მაჩვენებელს ისიც განაპირობებს, რომ კერძო უნივერსიტეტების ნაწილში საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტები მიდიან, რომლებსაც მანამდეც დიდი თანხები აქვთ ჩადებული თავიანთ განათლებაში, შედეგად, მათი დასაქმების შანსიც მაღალია, – ამბობს სიმონ ჯანაშია.

***სალომე მეცხვარიშვილი,***
***კომერსანტ.გე***

# გუგლი ქართველი სტუდენტების სტარტაპს დააფინანსებს

გუგლის კონკურსში თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდმა გაიმარჯვა.

თავისუფალი უნივერსიტეტის ინფორმაციით, გუგლი ლენოვოსთან ერთად ახალი ტაბლეტის შექმნაზე მუშაობს, რომელსაც დამატებითი სენსორების ხარჯზე შესაძლებლობა ექნება უკეთ აღიქვას სამყარო მის გარშემო.

ტაბლეტი ზაფხულში გამოვა გაყიდვაში.

– რამდენიმე თვის წინ გამოცხადდა კონკურსი. მონაწილეებს უნდა მოეფიქრებინათ აპლიკაციისთვის ისეთი იდეები, რომლებიც ახალი პლანშეტის შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოიყენებდა.

თავისუფალი უნივერსიტეტის მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების სტუდენტებმა და ლექტორებმა გააგზავნეს დამუშავებული იდეა და გაიმარჯვეს, რის შედეგადაც შეიქმნა ახალი სტარტაპი უოლი, რომლის ოპერირების ხარჯებსაც გუგლი დაფარავს. ეს ის უიშვიათესი შემთხვევაა, როდესაც გუგლი ქართულ სტარტაპს აფინანსებს, – ნათქვამია ინფორმაციაში.

იდეის ავტორები სოციალური აპლიკაციის გაკეთებას გეგმავენ.



აპლიკაციის საშუალებით მომხმარებელს შეეძლება, ვირტუალური კონტენტი განათავსოს რეალურ სამყაროში და გაუზიაროს მეგობრებს.

მაგალითისთვის, წარმოიდგინეთ რეალურ მაცივარზე მიკრული ვირტუალური შეტყობინება „იყიდება ყველაფერი სინდისის გარდა“, ან გარე კედლებზე გაკრული ვირტუალური მესიჯები „ცოდნა, შრომა, თავისუფლება“, „ვწეროთ ქართულად“, „სწავლა და ბრძოლა“, ვირტუალური სურათები ოთახის კედლებზე, ვირტუალური გრაფიტი ქალაქის ქუჩებში, ვირტუალური გიდი მუზეუმებში და ბევრი სხვა რამ.

**ბიპიენი**

# კახეთში პირველი ღვინის სპა გაიხსნება

ღვინის მწარმოებელი კომპანია შუხმან ვაინს ჯორჯია კახეთში, სოფელ კისისხევში კომპანიის კუთვნილ შატოში ღვინის სპას გახსნის.

კომპანიის დირექტორის როლანდ ბურდილაძის განცხადებით, სპა პროცედურა მასაჟს, საუნასა და აუზს ითვალისწინებს და ყველა პროცედურა ღვინოსთან იქნება დაკავშირებული.

მისივე თქმით, ერთი სპა პროცედურის ღირებულება 100 ლარი იქნება.

სპას მშენებლობა კომპანიას 100 ათასი დოლარი დაუჯდა.



შუხმან ვაინს ჯორჯია კისისხევში რამდენიმე წლის წინ ამოქმედდა. მისი დამფუძნებელი და ინვესტორია გერმანელი მეცენატი ბურხარდ შუხმანი, რომლის თაოსნობით აშენდა თანამედროვე ტექნოლოგიური საწარმო, ღვინის მარანი და განახლდა სასტუმრო შატო შუხმანი.

კომპანია ყოველწლიურად 2 მილიონ ბოთლამდე ღვინოს აწარმოებს და მისი პროდუქცია მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში იყიდება.

**ბიპიენი**

# ლორა ჯუიტი: „ქართველებს პარლამენტში მეტი ქალის ხილვა სურთ“

საქართველოში „ენ-დი-აის“ მიერ ჩატარებულ კვლევასთან და მისი შედეგების გამოქვეყნების შემდეგ პოლიტიკური სპექტრის გამოხმაურებასთან დაკავშირებით ამერიკული რადიოსადგური „Radio Voice of America“ აქვეყნებს ინტერვიუს ლორა ჯუიტთან, „ენ-დი-აის“ ევრაზიის განყოფილების დირექტორთან.

ის „Radio Voice of America“-ს ვაშინგტონში ესაუბრა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ინტერვიუს ქართულენოვან ვერსიას:



***– ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის გამოკითხვის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, თუ ვის მისცეს ხმა მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე. თქვენი აზრით, რით აიხსნება ეს გაურკვევლობა?***

– ეს ბოლო გამოკითხვის ერთ-ერთი ყველაზე მეტად თვალშისაცემი შედეგია. ქართველთა დიდი ნაწილს ჯერ კიდევ არ აქვს გადაწყვეტილი, თუ ვის მისცეს ხმა არჩევნებზე. იმის მიხედვით, თუ როგორ გადავთვლით, რაოდენობა კიდევ უფრო მაღალია. რესპონდენტებს შორის 60 პროცენტზე მეტი ამბობს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ აქვს. შედარებით დაბალია ეს მაჩვენებელი მათ შორის, ვინც ამბობს, რომ, სავარაუდოდ, ამა თუ იმ პარტიას აძლევს ხმას.

ჩემი აზრით, ეს ორი მიზეზით აიხსნება. პირველია ის, რომ ქართველები საკმაოდ უკმაყოფილო არიან იმით, რაც ქვეყანაში ხდება. გამოკითხულთა 39 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება, შედარებით 20-თან, რომელიც თვლის, რომ აღებული მიმართულება სწორია. 66 პროცენტი ეკონომიკურ მდგომარეობას უარყოფითად აფასებს, ამბობს, რომ ის ცუდ ან ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ქართველების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ მათ ოჯახებში მდგომარეობა არ შეცვლილა ან გაუარესდა. ძალიან აწუხებთ უმუშევრობა, ფასების ზრდა, სიღარიბე, მაგრამ ამ პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ წინადადებები მოსახლეობამდე არ აღწევს.

ამ ყველაფერს მეორე მიზეზთან მივყავართ, რაც ახალი არ არის. ხალხი ფიქრობს, რომ ხელისუფლებისგან მას საკმარისი ინფორმაცია არ აქვს, მათგან არაფერი ესმით, განსაკუთრებით პარლამენტის წევრების მხრიდან. გამოკითხულთა მესამედი საკუთარ მაჟორიტარ დეპუტატს ვერ ასახელებს. ესეც დეპუტატების მხრიდან ამომრჩეველთან კომუნიკაციის ნაკლებობაზე მიუთითებს. მარტო მეოთხედი თვლის, რომ არჩეული დეპუტატი მათ ინტერესებს გამოხატავს. მხოლოდ 2 პროცენტამდე, ნულთან ახლოსაა იმ ადამიანთა პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც წინა არჩევნების შემდეგ თავიანთ არჩეულ მაჟორიტარ დეპუტატთან რაიმე სახის კომუნიკაცია ჰქონიათ. ასე რომ, თუ შევაჯამებთ, ეს არის სხვადასხვა საკითხზე უკმაყოფილება და კომუნიკაციის, კონტაქტის ნაკლებობა, რაც ადამიანებს აფიქრებინებს, რომ მათ არაფერი აქვთ საერთო ამა თუ იმ პარტიასთან. თუ არ ვცდები, ამგვარი პასუხი გამოკითხულთა დაახლოებით 40-მა პროცენტმა გაგვცა.

***– როგორ გგონიათ, ქართველმა პოლიტიკოსებმა რა დასკვნები შეიძლება გამოიტანონ თქვენი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებიდან?***

– მე რომ ქართველი პოლიტიკოსი ვიყო, მთავარი გაკვეთილი ჩემთვის იქნებოდა შემდეგი: ძალიან მნიშვნელოვანია ამომრჩეველთან პირისპირ საუბარი. ამასთან, აუცილებელია იმ თემებზე ლაპარაკი, რაც მათ აწუხებს, ანუ – სამუშაო ადგილებზე, ფასებზე, სიღარიბეზე. მოსახლეობასთან კავშირის დამყარებისთვის საჭიროა მიღწეული შედეგების ჩვენებაც იმ საკითხებში, რაც ქართველებისთვის მნიშვნელოვანია, ამაზე საუბარი აუცილებელია. თუ შედეგები ჯერ არ გაქვს, მაშინ პრობლემების გადაწყვეტისთვის რეალური კონკრეტული წინადადებები მაინც უნდა შესთავაზო.

***– ლორა თორნტონის, „ენ-დი-აის“ საქართველოს ოფისის დირექტორის აზრით, დეკემბერში გამოქვეყნებულმა ევროკავშირის დადებითმა ანგარიშმა პოზიტიური გავლენა იქონია ევროკავშირისადმი ნდობის გაძლიერებაზე. შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ თუკი დაპირებისამებრ, ამ მიმართულებით ზაფხულში საქართველომ მეტ პროგრესს მიაღწია, მაშინ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისადმი მხარდაჭერა კიდევ უფრო გაიზრდება?***

– მე ვეთანხმები ლორას აზრს. გამოკითხვამ აჩვენა, რომ დაახლოებით 68% უჭერს მხარს მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ნატოში ინტეგრაციისკენ არის მიმართული და 77 – ევროპის კავშირისკენ. ეს უკანასკნელი თვალშისაცემად გაიზარდა, რაც, სავარაუდოდ, სწორედ ევროკავშირთან ვიზების ლიბერალიზაციის პროგრამაში მიღწეულ წარმატებას უკავშირდება.

როგორც ქართველი, ასევე ევროპელი პოლიტიკოსებისთვის, ვისაც საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაძლიერება სურს, გამოკითხვა სავსებით გარკვეულ გზავნილს შეიცავს: ძალიან მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით აჩვენო შედეგი, კონკრეტული პროგრესი. ეს საქართველოს მოსახლეობაში ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მხარდაჭერას აშკარად აძლიერებს.

კიდევ ერთი საინტერესო რამ გახდა ცნობილი გამოკითხვის შედეგად. აქ გასათვალისწინებელია რამდენიმე ნიუანსი იმ საკითხში, თუ როგორ უყურებს ქართველი ევროპასა და ევროკავშირს. საერთაშორისო ალიანსების შერჩევისას მთავარი კრიტერიუმი მაინც ეკონომიკაა და არა იმდენად იდეოლოგიური და გეოპოლიტიკური საკითხები. ფოკუსჯგუფებში მუშაობამ აჩვენა, რომ როცა ქართველები არჩევანს ევროპის ან ევრაზიის კავშირს შორის აკეთებენ, ისინი პრიორიტეტს ეკონომიკურ სარგებელს ანიჭებენ. ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რომელსაც პოლიტიკოსებმა ანგარიში უნდა გაუწიონ.

მეორე ნიუანსზეც მინდა ყურადღება გავამახვილო: ქართველებს არ სურთ, რომ მათი საგარეო პოლიტიკური არჩევანი, რომელიმე ალიანსში გაწევრიანება ექსკლუზიური იყოს. კითხვაზე, თუ რა იქნებოდა იდეალური საგარეო პოლიტიკის არჩევანი, ცოტამ თუ თქვა, რომ ისინი ექსკლუზიურად დასავლურ ორიენტაციას ირჩევენ. კიდევ უფრო ცოტას, ძალიან ცოტას სურს მხოლოდ რუსული ორიენტაცია. უმრავლესობის სურვილია, რომ მთავრობამ პროდასავლური კურსი აირჩიოს, მაგრამ ისე, რომ რუსეთთანაც კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოს.

მოკლედ, ბევრი ნიუანსია. შესაბამისად, პოლიტიკურმა ლიდერებმა მხედველობაში ყველა ფაქტორი უნდა მიიღონ და ამის მიხედვით გადაწყვიტონ, თუ როგორ უნდა მიუდგნენ, როგორ ესაუბრონ საკუთარ ამომრჩეველს.

***– ქართველი პოლიტიკური ლიდერებისგან ხშირად ისმის გამოკითხვის შედეგების კრიტიკა და მათ მიმართ ერთგვარი სკეპტიციზმიც უკვე ტრადიციად იქცა. თუ ატარებთ კონსულტაციებს პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან გამოკითხვის ინსტრუმენტების და მეთოდოლოგიის თაობაზე?***

– რა თქმა უნდა! გამოკითხვის მიზანიც ეს არის: ერთის მხრივ „ენ-დი-აიმ“ უნდა შექმნას საქართველოს დახმარების პროგრამები და ამასთან ერთად, ხელისუფლებას, პოლიტიკოსებს და არასამთავრობოებს მიაწოდოს სათანადო რესურსი, რითაც ისინი შეიტყობენ, თუ რა აწუხებს ქართველ ხალხს ყველაზე მეტად.

საქართველო გამორჩეული ქვეყანაა და განსაკუთრებით მომხიბვლელი იმით, რომ ქართველებს ჩამოყალიბებული აზრი აქვთ ბევრ საკითხზე, განიცდიან და ძალიან მგრძნობიარედ, ემოციურად ეკიდებიან თითოეულ თემას. მაგრამ, როცა საქმე პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ეხება, მსგავსი მონაცემთა ბაზა და ფაქტები მათ დიდ დახმარებას უწევს. ჩვენ ვცდილობთ პოლიტიკურ პარტიებს მტკიცებულებებით გამყარებული მონაცემები მივაწოდოთ და მიმდინარე დისკუსიაში ობიექტური ხმა შევიტანოთ.

თითოეული გამოკითხვის დიზაინის პროცესში კონსულტაციები მიმდინარეობს ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სხვადასხვა პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებთან. გვინდა გავიგოთ, თუ რა კითხვებზე პასუხი აინტერესებთ მათ ყველაზე უფრო. შემდეგ, გამოკითხვების დროს ყველა ამ რეკომენდაციას ვითვალისწინებთ. ვცდილობთ ძალიან, ძალიან გამჭვირვალე ვიყოთ მეთოდოლოგიასთან მიმართებაში. ხალხმა უნდა გაიგოს, თუ როგორ ხდება პასუხების შეჯამება და დასკვნების გამოტანა.

***– „ქართული ოცნება“ გამოკითხვის შემდეგ დრამატულად შეიცვალა. კოალიცია დატოვა რესპუბლიკურმა პარტიამ და ის არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად გეგმავს. გამოკითხვის ის ნაწილი, რომელიც პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერას შეეხებოდა, ამით ერთგვარად არარელევანტური გახდა. თუ გეგმავთ არჩევნებამდე მორიგი გამოკითხვის ჩატარებას და როდის?***

– არჩევნებამდე კიდევ ერთ გამოკითხვას ჩავატარებთ, სავარაუდოდ – ზაფხულში. საინტერესო იქნება, თუ რამდენად შეიცვლება შედეგები. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ცვლილება შეიძლება ამ ეტაპზე მხოლოდ ერთ კითხვაზე პასუხში გვქონოდა. ვგულისხმობ კითხვას – არჩევნები რომ ხვალ ტარდებოდეს, ვის მისცემდით ხმას? ალბათ, რესპუბლიკელთა მიერ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის გადაწყვეტილების შემდეგ, ამ კითხვაზე საკმაოდ განსხვავებულ პასუხს მივიღებდით.

ამიტომ დაკვირვება საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნება, მაგრამ დანარჩენ კითხვებზე პასუხს ისევ ლეგიტიმურად ვთვლი. განსაკუთრებით – იმ თემებზე, რაც ქართველებს ყველაზე მეტად აწუხებთ. პოლიტიკური პარტიებისთვის დღეს გამოწვევად რჩება ის ფაქტი, რომ მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას არ გადაუწყვეტია, თუ ვის აძლევს ხმას, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ გარანტირებული მხარდამჭერების საკმარისი რაოდენობა არ ჰყავთ. თუმცა, ეს შესაძლოა დიდ შესაძლებლობადაც აღვიქვათ: არის უამრავი ხმა, რომლის მოპოვების საშუალება ჯერ კიდევ არსებობს. ყველაფერი დამოკიდებულია იმ პლატფორმაზე და პარტიის იმ ლიდერებზე, რომელიც ქართველებს მოეწონება.

დასასრულს, რჩევის სახით კიდევ ერთ რამეს დავამატებდი: პარტიას, რომელსაც მომავალ არჩევნებზე გამარჯვება სურს, მეტი ქალი უნდა მოიზიდოს, ჩართოს და მომგებიან პოზიციაში ჩააყენოს ის. საუბარია როგორც პარტიულ სიებზე, ასევე მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატებზე. როგორც ხედავთ, ქართველებს პარლამენტში მეტი ქალის ხილვა სურთ და კვოტირების პრინციპსაც ემხრობიან.

**ნიუსპრესი**

## ილია II: „თანამედროვე ადამიანს ცოდვა ცოდვად არ მიაჩნია“

– თანამედროვე ადამიანს ცოდვა ცოდვად არ მიაჩნია და ყველაზე საშიში ეს არის, – განაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა- თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 17 აპრილს საკვირაო ქადაგებისას.

მარიამ ეგვიპტელის ხსენების დღესთან დაკავშირებით მისმა უწმინდესობამ იქადაგა მარიამ ეგვიპტელის ცხოვრებაზე და აღნიშნა, რომ ის არის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა აღდგეს ადამიანი ცოდვებისგან და მოიკრიბოს ძალა, რათა განიკურნოს ვნებებისგან.




– როცა ჩვენ ვფიქრობთ დღევანდელ დღეზე, როცა ვფიქრობთ ხალხზე, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ კაცობრიობა სულ უფრო და უფრო ეცემა ცოდვებში. ეს არის ნიშანი იმისა, რომ ჟამი მოახლოებული არს ჩვენთან და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ სულიერად განვწმინდოთ ჩვენი გონება. საოცარი არის ის, რომ ადამიანი ეცემა სულიერად და არ გრძნობს, რომ ის ეცემა. საოცარი არის ის, რომ ცოდვა თანამედროვე ადამიანს არ მიაჩნია ცოდვად და ყველაზე საშიში ეს არის, – აღნიშნა პატრიარქმა.

მისივე თქმით, ახლოვდება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ამ დიდ დღესასწაულს ღირსეულად შევხვდეთ.

**ინტერპრესნიუსი**

## აჭარის მთავრობამ ბულვარის განვითარების კონცეფციაზე მუშაობა შეაჩერა



აჭარის მთავრობამ ბულვარის განვითარების კონცეფციაზე მუშაობის შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო. ბათუმში, ევროპის მოედანზე გამართულ აქციასთან დაკავშირებით აჭარის მთავრობა განცხადებას ავრცელებს.

როგორც მთავრობის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, აჭარის მთავრობამ ბულვარის განვითარების კონცეფციაზე მუშაობის შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო.

პრესსამსახურის ცნობით, არჩილ ხაბაძემ კონსერვაციის გეგმაზეც ისაუბრა, თუმცა, მიმდინარე წლის ბიუჯეტით ეს ვერ განხორციელდება.

„დაიცავი ბულვარისა“ და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძემ არაერთი კონსულტაცია გამართა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით მიიღო როგორც სამი ხეივნის აღდგენის, ისე ბულვარის „განვითარების კონცეფციაზე“ მუშაობის შეჩერების გადაწყვეტილება.

მთავრობის თავმჯდომარემ მედიასთან კომენტარში საზოგადოების მოთხოვნის შემთხვევაში სამომავლოდ კონსერვაციის გეგმის შესაძლებლობაზეც ისაუბრა, თუმცა მიმდინარე წლის ბიუჯეტით ეს ვერ იქნება გათვალისწინებული. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია აქციის ფორმა მოწოდებით

– ბულვარი კვლავ საფრთხეშია, მაშინ, როცა მთავარი მოთხოვნები უკვე გათვალისწინებულია, – აღნიშნულია განცხადებაში.

„დაიცავი ძველი ბულვარის“ საინიციატივო ჯგუფი ბათუმის ბულვარის კონსერვაციას ითხოვს. ბათუმელები ევროპის მოედანზე შეიკრიბნენ და აჭარის მთავრობის მიერ კომპანია „ოაზისთან“ ბულვარის ახალი კონცეფციის შექმნის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა მოითხოვეს.

**ინტერპრესნიუსი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

## პანასონიკი ბრიტანელ მწეველს ტელევიზორს არ შეუკეთებს

კომპანია პანასონიკმა უარი განაცხადა, ბრიტანეთის მცხოვრებს შეუკეთოს ტელევიზორი გარანტიით, რაც იმით ახსნა, რომ ის მეტისმეტად ბევრს ეწეოდა ტელევიზორის გვერდით.




2012 წელს ტომას დეფტიმ და მისმა მეგობარმა გოგონამ დენის ჰედმა 42- დიუმიანი ტელევიზორი შეიძინეს, რომელსაც ხუთწლიანი საგარანტიო მომსახურება აქვს. შეძენიდან გარკვეული დროის შემდეგ 53 წლის ბრიტანელმა ეკრანზე გარკვეული ხარვეზები შენიშნა. როდესაც მამაკაცმა სერვისის სამსახურში დარეკა, კომპანიის თანამშრომლებმა მას აცნობეს, რომ პრობლემის გამომწვევი სიგარეტის ბოლია, რაც კონტრაქტის პირობებით გათვალისწინებული არ არის.

– მე და დენისი დღეში დაახლოებით 20 ღერ სიგარეტს ვეწევით, მაგრამ არა ერთსა და იმავე ადგილას და ფანჯრებდახურულ ოთახში, – განაცხადა ბრიტანელმა.

კომპანიის წარმომადგენლის თქმით, სერვისის სამსახურმა შემოწმების შედეგად დაადგინა, რომ სწორედ სიგარეტის ბოლია დამნაშავე ტელევიზორის გაფუჭებაში. ტელევიზორის ეკრანის უგარანტიოდ შეკეთება ან შეცვლა ბრიტანულ ოჯახს 800 ფუნტი დაუჯდება.

## ფრანგმა უსახლკაროს საცხობი ერთ ევროდ მიჰყიდა

საფრანგეთის ქალაქ დოლის მცხოვრებმა მის მიერვე დაფუძნებული საცხობი ადგილობრივ უსახლკაროს სიმბოლურ ფასად, ერთ ევროდ მიჰყიდა.



2015 წლის დეკემბერში მიშელ ფლამანი კინაღამ დაიღუპა გაზით მოწამვლისგან. მაშინ მას 37 წლის უსახლკარო ჟერომ ოკანი დაეხმარა, რომელმაც სამაშველო სამსახურში დარეკა და 62 წლის მცხობელი სიკვდილს გადაარჩინა. მიშელის თქმით, შენობაში გაზის გაჟონვა პურის საცხობ ღუმელში დაზიანებამ გამოიწვია.

როდესაც მეწარმე საავადმყოფოდან გამოეწერა, მადლიერების ნიშნად უსახლკარო სამსახურში აიყვანა. მცხობელის თქმით, ოკანმა სწრაფად აითვისა ხელობა და მოვალეობას თავს კარგად ართმევს. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა მან, საკუთარი ბიზნესი თავისი შეგირდისა და გადამრჩენელისთვის სიმბოლურ ფასად მიეყიდა.

– მე მაინტერესებს არა ფული, არამედ თავისუფლება. მინდა დავისვენო და რატომ უნდა ვთქვა ამაზე უარი, როდესაც ამით შემიძლია, ჟერომიც გავაბედნიერო, – განაცხადა მიშელ ფლამანმა.

## ახალ ზელანდიაში რვაფეხა აკვარიუმიდან გაიქცა

ახალი ზელანდიის ეროვნული აკვარიუმიდან რვაფეხამ, სახელად მელანამ, დამოუკიდებლად მოახერხა აკვარიუმიდან თავის დაღწევა და წყნარ ოკეანეში გაქცევა.



აკვარიუმის ერთ-ერთმა თანამშრომელმა წყლის რეზერვუარს, სადაც ცხოველები ბინადრობენ, თავი მჭიდროდ არ დაახურა. რვაფეხამ დარჩენილ ღრიჭოში გაძრომა მოახერხა და იატაკზე დაცემის შემდეგ 15-სანტიმეტრიან მილში გაძვრა, რომელიც ოკეანისკენ მიემართება.

დაწესებულების წარმომადგენელ რობ იარალის თქმით, რვაფეხას ნაკვალევი ნახეს იატაკსა და მილში. მისივე თქმით, რვაფეხას, რომელიც რაგბის ბურთის ზომისაა, თავისი რბილი სხეულის წყალობით შეუძლია, უწვრილეს ჭრილშიც კი გაძვრეს. ამასთან, მთავარია, რომ მასში სხეულის მაგარი ნაწილი, ნისკარტი, გაეტიოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბალტიის ზღვაში ახალი ინციდენტი მოხდა



ბალტიის ზღვაში ახალი ინციდენტი მოხდა. რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა შეუტია ამერიკულ გამანადგურებელს, რომელიც ნეიტრალურ წყლებში მანევრებს ახორციელებდა.

– რუსების მოქმედება აგრესიული და არაპროფესიონალური იყო, – განუცხადა ჟურნალისტებს ევროპაში აშშ-ის სარდლობის წარმომადგენელმა დანი ერნანდესმა.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რუსეთის აგრესიულობა საეჭვოდ დაემთხვა პრეზიდენტ ობამას კატეგორიულ მოთხოვნას ნადეჟდა სავჩენკოს გათავისუფლების თაობაზე.

ობამას მხარი დაუჭირეს გერმანიის კანცლერმა მერკელმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა.

– პასუხად პუტინმა კუნთები აათამაშა, – აცხადებს რადიო „თავისუფლება“.

## რომის პაპი ბარნი სანდერსს შეხვდა



რომის პაპმა ფრანცისკ პირველმა თავის რეზიდენციაში მიიღო აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი ბარნი სანდერსი.

საუბარმა საათ-ნახევარს გასტანა.

– მე პოლიტიკაში არ ვერევი, არც ვაპირებ, ამერიკელ ამომრჩეველზე რაიმე ზეგავლენა მოვახდინო, – თქვა პაპმა.

თავის მხრივ, ბარნი სანდერსმა განაცხადა, რომ ისეთ ადამიანთან შეხვედრა, როგორიცაა რომის პაპი, მისთვის უდიდესი პატივია.

– ეს პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში დამატებით სტიმულს მაძლევს, – ამბობს სანდერსი.

## იაპონიაში ათასობით ადამიანმა ღამე ღია ცის ქვეშ გაატარა



იაპონიაში მომხდარი მიწისძვრის გამო ათასობით ადამიანმა ღამე ღია ცის ქვეშ გაატარა.

ბოლო დღეებში კუნძულ კიუშიუზე მომხდარი მიწისქვეშა ბიძგების შედეგად კუნძული 240.000-ზე მეტმა ადამიანმა დატოვა.

ათასობით ადამიანი დროებით თავშესაფარში იმყოფება, რადგან კიუშიუზე ძლიერი წვიმების გამო მეწყრის ჩამოწოლის საშიშროება არსებობს.

გასული კვირის ხუთშაბათსა და შაბათს მომხდარ სტიქიას 40-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, 2.000-ზე მეტი დაშავდა, 200 მძიმე მდგომარეობაშია, ათობით ადამიანი კვლავ ნანგრევების ქვეშ იმყოფება.

## საპროტესტო აქციები ლონდონში




ინგლისის დედაქალაქში საპროტესტო აქციები გაიმართა.

მანიფესტანტები პრემიერ ქემერონის „მკაცრი ეკონომიის“ კურსს აპროტესტებდნენ.

– თუკი ასე გაგრძელდა, ყველა სოციალური შეღავათი გაუქმდება. ეს თანაბრად შეეხება როგორც უმუშევრებს, ასევე მათაც, ვინც სამუშაო ავადმყოფობის გამო დაკარგა, – განუცხადა ბიბისის კორესპონდენტს ერთ-ერთმა მანიფესტანტმა.

ბრიტანული გაზეთების ცნობით, დემონსტრაციაში 10.000-მდე მოქალაქე მონაწილეობდა.

თავად მანიფესტანტები ამტკიცებენ, რომ ეს ციფრი ძლიერ არის შემცირებული და მათი რაოდენობა 100.000-ს აღწევდა.

## მთიან ყარაბაღში კვლავ ისვრიან



მთიან ყარაბაღში ისევ სროლებია.

სეპარატისტების შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა ამაში აზერბაიჯანულ მხარეს ადანაშაულებს.

– აზერბაიჯანელებმა ჩვენს პოზიციებს ცეცხლი გაუხსნეს, – ამტკიცებენ სეპარატისტები.

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრო კი ამტკიცებს, რომ ცეცხლი აზერბაიჯანულ პოზიციებს სეპარატისტებმა გაუხსნეს.

## მიწისძვრა ეკვადორში



ეკვადორში მიწისძვრა მოხდა.

დაღუპულია 77 ადამიანი. 588 დაშავდა.

7,8 სიმძლავრის მიწისქვეშა ბიძგები ღამის საათებში დაფიქსირდა. მიწისძვრის ეპიცენტრი 20,2 კილომეტრის სიღრმეზე მდებარეობდა. ეკვადორში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული.

ეს მიწისძვრა 1979 წლის შემდეგ ყველაზე ძლიერი იყო. სტიქიამ ქვეყანა მნიშვნელოვნად დააზარალა. არსებობს ცუნამის საფრთხე.

მიმდინარეობს სამუშაოები მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ.

## მიწისძვრა ტონგაში

წყნარ ოკეანეში, ტონგას კუნძულოვან სამეფოში, 5,8 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა.

აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის ცნობით, ეპიცენტრი 35 კილომეტრის სიღრმეზე მდებარეობს.



ბოლო დღეების განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში ძლიერი მიწისქვეშა ბიძგები დაფიქსირდა.

რაც შეეხება ტონგას, წყნარი ოკეანის ეს ნაწილი ერთ-ერთ ყველაზე სეისმურად აქტიურ ზონად მიიჩნევა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**ცნობილი სექსოლოგი გიორგი გოგბაიძე სრულად განკურნავს პროსტატიტსა და სექსუალურ სისუსტეს.**
**ტელ: 599-25-50-50.**

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# კალათბურთი: პლეი ოფში ერთი ადგილი დარჩა

გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**დინამო – სოხუმი 67:62**
**(20:15; 21:15; 15:15; 11:17)**

წყვილში გამარჯვებული ფაქტობრივად ინაღდებდა ოთხეულის საგზურს. დინამოელები მატჩამდე ქულით უსწრებდნენ სოხუმს და გამარჯვების შემთხვევაში სხვაობას კიდევ უფრო ზრდიდნენ, რაც პლეი ოფში გასვლის გარანტია გახლდათ.

დინამოელებმა რთულად, მაგრამ მაინც მოახერხეს გამარჯვების მოპოვება, რაც მეტწილად მათი სერბი ლეგიონერის – მაქსიმ კოვაჩევიჩის დამსახურება გახლავთ. ბალკანელმა მსუბუქმა ფორვარდმა მიითვალა დინამოელთა საწყისი 12 ქულა ამ მატჩში, ხოლო შეხვედრა 26 ქულით დაასრულა.

საწყისი ჩავარდნის შემდეგ დინამოელებმა თამაში გამოასწორეს და პირველი პერიოდი სათავისოდ – 20:15 დაასრულეს. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა დინამოელებმა მეორე პერიოდში ლიდერობა კიდევ უფრო გაიმყარეს და დიდ შესვენებაზე 11-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ – 41:30.

სოხუმელებმა ბოლო წუთებამდე ვერ მოახერხეს თამაშის გამოსწორება და ამასობაში დინამოელთა ლიდერობამ 15 ქულას გადააჭარბა.

ბოლო მეოთხედში ფილიპ მილერის ზედიზედ ჩაგდებული სამქულიანების შემდეგ ჩამორჩენა 2 ქულამდე შემცირდა – 57:59. დინამოელებმა წუთშესვენება აიღეს, რის შემდეგაც თამაში ჩვეულ რიტმში გააგრძელეს, კოვაჩევიჩმა სამქულიანი ჩააგდო, რამაც სოხუმელები წელში გატეხა და ბოლო წუთზე შეხვედრის ბედი გარიკვა – 67:62.

როგორც გითხარით, დინამოელთა ბომბარდირი სერბი კოვაჩევიჩი გახდა 26 ქულით, ილია ლონდარიძის ანგარიშზე კი 13 ქულა და ამდენივე მოხსნა დაგროვდა. სოხუმელებში 23 ქულით საუკეთესო ფილიპ მილერი გახდა.

**რუსთავი – მგზავრები 76:79**
**(23:22; 14:23; 17:14; 22:20)**

ოთხეულში მოხვედრის შანსი რომ შეენარჩუნებინა, ორივე გუნდს აუცილებლად გამარჯვება სჭირდებოდა. იყო ერთი მომენტიც: რუსთაველებს რომ მოეგოთ, უმოტივაციოდ დარჩენილი მგზავრები მომდევნო, ბოლოსწინა ტურში პლეი ოფის მეოთხე საგზურისთვის მებრძოლ სოხუმს ხვდებოდა და ცხადია, ფსიქოლოგიური მუხტი სათანადო არ ექნებოდა. ახლა კი, როცა რუსთავში დიდი ჯახი მოიგო, სოხუმს პლეი ოფში გასასვლელ მატჩში შეხვდება.



მართალია, მგზავრებს სოხუმელთა დამარცხება პირდაპირ პლეი ოფში არ გაიყვანს, თუმცა ბოლო ტურში ბერიშვილის გუნდი საკუთარ თავზე იქნება დამოკიდებული: მოუგებს ბოლოადგილოსან აკადემიას და პლეი ოფში გავა.

მგზავრებმა ტაქტიკურად გამართული კალათბურთიც ითამაშა და მაინც ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა, მანამდე კი თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა, მთლიანობაში მას თანაბარი ეთქმოდა.

ვერცერთი გუნდი ვერ ახერხებდა ხელჩასაჭიდი უპირატესობის მოპოვებას. მგზავრების ყველაზე დიდი ლიდერობა მე-18 წუთზე დაფიქსირდა და მან 9 ქულა შეადგინა, რუსთაველების მაქსიმუმი 5 ქულა იყო და მასპინძლები ამ სხვაობით საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე იგებდნენ.

მგზავრებმა სწორედ ბრძოლის ხარჯზე მოახერხეს ამ სიტუაციიდან დაძრომა. ეს ჩამორჩენა თბილისელებმა 1 წუთში აღმოფხვრეს – ჯერ რენსომმა ჩააგდო 2-ქულიანი, შემდეგ კი რეჯი მერფიმ გააკეთა იგივე, თან დამცველი აიძულა, დაჯარიმებულიყო და ბონუს-ქულაც მიითვალა – 70:70 დასრულებამდე 2 წუთით ადრე. გუნდებმა ბურთები გაცვალეს და გადამწყვეტი აღმოჩნდა კაჰიმ რენსომის სამქულიანი, რომელმაც საფინალო სირენამდე 33 წამით ადრე მგზავრები 77:74 დააწინაურა.

თბილისელები დაცვაში რუსთაველთა ლიდერ ნიკოლა გაჩეშაზე დასრულებამდე 24 წამით ადრე დაჯარიმდნენ, რასაც სერბი ლეგიონერის 2 ბონუს-ქულა მოჰყვა და 77:76 მოლიდერე მგზავრებს სრული შეტევა დარჩათ. ცხადია, ბერიშვილის გუნდი ბოლომდე არ შეუტევდა, რაც რუსთაველებმა იცოდნენ და ტაქტიკური ჯარიმა აიღეს. ლევან გრძელიძემ 1 საჯარიმო ჩააგდო და 2 ქულით ჩამორჩენილ მასპინძლებს თამაშის გადასარჩენად 18 წამი დარჩათ. გადამწყვეტი სროლა გაჩეშამ ითავა, თუმცა 2 მეტრიდან ნასროლი ბურთი არ ჩავარდა.

საბოლოოდ მგზავრებმა 79:76 იმარჯვეს, რაშიც ლომის წილი ამერიკელმა ლეგიონერებმა – რენსომმა (21 ქულა) და მერფიმ (20 ქულა, 11 მოხსნა) დაიდეს.

რუსთაველთაგან 34 ქულითა და 10 მოსხნით გაჩეშა გამოირჩა, კაილ ტურპინმა კი თავი 21 ქულას მოუყარა. გამოსარჩევია რუსთაველთა გამთამაშებლის, ლაშა გამყრელიძის მონაგარი, რომელმაც 18 პასით მიმდინარე სუპერლიგის თავისივე რეკორდი გააუმჯობესა.

**ოლიმპი – ქუთაისი 77:103**
**(25:17; 15:18; 22:24; 15:34)**

ერთ-ერთმა ლიდერმა ქუთაისმა ბოლოსწინა ადგილზე მყოფ ოლიმპს საბოლოოდ იოლად სძლია, თუმცა მეოთხე პერიოდამდე საკმაოდ თანაბარი და საინტერესო ბრძოლა მიმდინარეობდა.

ოლიმპს მოტივაცია დაკარგული აქვს, თუმცა იოლად რომ არც ერთ თამაშს არ დათმობს, ცხადია.

პირველი მეოთხედი ქუთაისელებმა მხოლოდ 2 ქულით მოიგეს, დიდ შესვენებამდე კი ლიდერობა 5 ქულამდე გაზარდეს. ოლიმპელებმა სტუმრებს წინააღმდეგობა ბოლო პერიოდის დაწყებამდე გაუწიეს, დასკვნით წუთებში კი იმერული კლუბის უპირატესობა აშკარა იყო და ათწუთეულის 34:15 მოგებით საბოლოოდ დიდი სხვაობით იმარჯვა – 103:77.

შეუჩერებელი იყო ქუთაისელი გიორგი ბარბაქაძე, რომელმაც საბოლოოდ 8-დან 8 ორქულიანი ჩააგდო, რასაც 8-დან 5 სამიანი და 7-დან 4 საჯარიმო მოაყოლა და შეხვედრა 35 ქულით დაასრულა. 14 ქულა ჰქონდა ივან მიკულიჩს, 12 ქულა დ 8 მოხსნა დაგროვდა ზაურ ფაშაევის ანგარიშზე.

ოლიმპში 23 ქულით და 12 მოხსნით საუკეთესო იყო ლესლი სმიტი.

ამ გამარჯვებით ქუთაისელებმა ცხრილის სათავეში პოზიციები გაიმყარეს, თუმცა ყველაფერი ბოლო 2 მატჩზეა დამოკიდებული. კოტე ტუღუშის გუნდი დარჩენილ ტურებში ბათუმს და დინამოს ხვდება და ამ მატჩების შემდეგ განაწილდება ცხრილში პირველი, მეორე და მესამე ადგილები.

**ბათუმი – აკადემია 110:89**
**(27:20; 25:22; 28:20; 30:27)**

ზღვისპირელებმა ბოლოადგილოსან აკადემიასთან უპრობლემოდ იმარჯვეს და კვლავაც პირველ ადგილზე რჩებიან.

ყველაზე პრინციპული მატჩი მომავალ ტურში მათ ქუთაისში ელით.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბათუმი | 26 | 18 | 8 | 2090-1927 | 44 |
| 2.ქუთაისი | 26 | 17 | 9 | 2041-1933 | 43 |
| 3.დინამო | 26 | 16 | 10 | 1902-1826 | 42 |
| 4.სოხუმი | 26 | 14 | 12 | 2000-1869 | 40 |
| 5.მგზავრები | 26 | 13 | 13 | 1908-1996 | 39 |
| 6.რუსთავი | 26 | 12 | 14 | 1964-1954 | 38 |
| 7.ოლიმპი | 26 | 9 | 17 | 1917-2019 | 35 |
| 8.აკადემია | 26 | 5 | 21 | 1898-2196 | 31 |

# ფაჩულიამ და დალასმა პლეი ოფი მარცხით დაიწყეს

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში პლეი ოფი დაიწყო და ზაზა ფაჩულიას დალასმა სერიის პირველი მატჩი ოკლაჰომა სიტიში, ადგილობრივ სანდერთან გამართა. ბროლა არ შედგა – მავერიკსმა 38 ქულით (108:70) წააგო.

ეს შედეგი ამ გუნდებისთვის რამდენიმე რეკორდისა და ანტირეკორდის საფუძველი გახდა.



დავიწყოთ დალასით, რომელსაც ასე ცოტა ქულა არც ერთ საპლეიოფო მატჩში არ ჩაუგდია. მავერიკსმა ამ მატჩში თამაშიდან 29.8 პროცენტიანი სიზუსტით ესროლა, რაც 1980 წლის შემდეგ გამართულ პლეი ოფებში ყველაზე დაბალი შედეგია. ოკლაჰომელთათვის კი ეს ყველაზე დიდი სხვაობით მოგებული მატჩია, რაც ამ გუნდმა ქალაქი და სახელი შეიცვალა, როცა 2008 წელს სიეტლიდან ოკლაჰომა სიტიში გადავიდა. ხოლო მთლიანად არსებობის მანძილზე – როგორც სიეტლში, ისე ოკლაჰომაში, ამ გუნდისთვის პლეი ოფში ასე ცოტა ქულა არავის ჩაუგდია.

დალასმა ოკლაჰომაში უშანსოდ წააგო. დირკ ნოვიცკის გარდა, ვერც ერთმა კალათბურთელმა ვერ გამოსახა საკუთარი მონაგარი 2-ციფრიანი რიცხვით. გერმანელმა ფორვარდმა 18 ქულა მიითვალა, ვის შემდეგაც საუკეთესო შედეგი 8 ქულის მიმთვლელ დუაიტ პოუელს ჰქონდა.

ზაზა ფაჩულია სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა. ძირითადში ცენტრის პოზიციაზე თამაში ტუნისელმა სალაჰ მერჯიმ დაიწყო, რომელმაც 16 წუთში მხოლოდ 1 ქულას მოუყარა თავი. ფაჩულიამ კი 21 წუთი ითამაშა, რის განმავლობაშიც 5 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა.

საერთო სარგებლიანობით ფაჩულია დალასელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

გამარჯვებულებს რასელ ვესტბრუკმა 24 ქულითა და 11 პასით ულიდერა. 23 ქულა მიითვალა კევინ დიურანტმა, 16 ქულა და 13 მოხსნა თურქი ენეს კანტერის ანგარიშზეა. სერიის მომდევნო მატჩი ოკლაჰომა სიტიში 19 აპრილს გაიმართება, რის შემდეგაც სერია დალასში გადაინაცვლებს.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## შედეგები

### 16 აპრილი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ნორვიჩი-სანდერლენდი ................ 0:3
ევერტონი-საუთჰემპტონი ............. 1:1
მანჩესტერი-ასტონ ვილა .............. 1:0
ნიუკასლი-სუონსი ........................ 3:0
ვესტ ბრომვიჩი-უოტფორდი .......... 0:1
ჩელსი-სიტი ................................. 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 33 | 21 | 9 | 3 | 57-31 | 72 |
| 2.ტოტენჰემი | 33 | 18 | 11 | 4 | 60-25 | 65 |
| 3.სიტი | 33 | 18 | 6 | 9 | 61-33 | 60 |
| 4.არსენალი | 32 | 17 | 8 | 7 | 55-33 | 59 |
| 5.მანჩესტერი | 33 | 16 | 8 | 9 | 40-30 | 56 |
| 6.ვესტ ჰემი | 32 | 13 | 13 | 6 | 52-40 | 52 |
| 7.საუთჰემპტონი | 34 | 14 | 9 | 11 | 45-35 | 51 |
| 8.ლივერპული | 31 | 13 | 9 | 9 | 50-42 | 48 |
| 9.სტოკი | 33 | 13 | 8 | 12 | 37-43 | 47 |
| 10.ჩელსი | 33 | 11 | 11 | 11 | 49-45 | 44 |
| 11.ევერტონი | 33 | 9 | 14 | 10 | 53-44 | 41 |
| 12.უოტფორდი | 33 | 11 | 8 | 14 | 32-37 | 41 |
| 13.ბორნმუთი | 33 | 11 | 8 | 14 | 40-55 | 41 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 33 | 10 | 10 | 13 | 31-40 | 40 |
| 15.სუონსი | 34 | 10 | 10 | 14 | 34-45 | 40 |
| 16.კრ.პალასი | 33 | 10 | 8 | 15 | 35-42 | 38 |
| 17.ნორვიჩი | 34 | 8 | 7 | 19 | 35-60 | 31 |
| 18.სანდერლენდი | 33 | 7 | 9 | 17 | 39-57 | 30 |
| 19.ნიუკასლი | 33 | 7 | 7 | 19 | 35-61 | 28 |
| 20.ასტონ ვილა | 34 | 3 | 7 | 24 | 23-65 | 16 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბოლტონი-მიდლსბრო .................. 1:2
ბირმინგემი-ბარნლი ..................... 1:2
ბლექბერნი-ჰადერსფილდი ........... 0:2
ბრენტფორდი-ბრისტოლი ............ 1:1
კარდიფი-ქპრ ................................ 0:0
პრესტონი-მილტონი ..................... 1:1
როტერჰემი-ნოტინგემი ................ 0:0
ჩარლტონი-დერბი ........................ 0:1
უენსდი-იფსვიჩი ........................... 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-რეალი .............................. 1:5
ლას პალმასი-ხიხონი .................... 1:1
ეიბარი-სოსიედადი ........................ 2:1
სელტა-ბეტისი ............................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 32 | 24 | 4 | 4 | 87-27 | 76 |
| 2.რეალი | 33 | 23 | 6 | 4 | 98-30 | 75 |
| 3.ატლეტიკო | 32 | 23 | 4 | 5 | 54-16 | 73 |
| 4.ვილიარეალი | 32 | 17 | 9 | 6 | 41-26 | 60 |
| 5.სელტა | 33 | 15 | 8 | 10 | 46-53 | 53 |
| 6.ბილბაო | 32 | 15 | 6 | 11 | 50-40 | 51 |
| 7.სევილია | 32 | 13 | 9 | 10 | 45-39 | 48 |
| 8.მალაგა | 32 | 10 | 11 | 11 | 30-29 | 41 |
| 9.ეიბარი | 33 | 11 | 8 | 14 | 45-49 | 41 |
| 10.სოსიედადი | 33 | 11 | 8 | 14 | 41-44 | 41 |
| 11.ლას პალმასი | 33 | 11 | 7 | 15 | 38-45 | 40 |
| 12.ბეტისი | 33 | 9 | 11 | 13 | 30-46 | 38 |
| 13.ვალენსია | 32 | 9 | 10 | 13 | 36-39 | 37 |
| 14.დეპორტივო | 32 | 7 | 16 | 9 | 41-47 | 37 |
| 15.ესპანიოლი | 33 | 10 | 6 | 17 | 34-62 | 36 |
| 16.რაიო | 32 | 7 | 10 | 15 | 43-64 | 31 |
| 17.გრანადა | 32 | 7 | 9 | 16 | 33-57 | 30 |
| 18.ხიხონი | 33 | 7 | 8 | 18 | 33-54 | 29 |
| 19.ლევანტე | 33 | 7 | 7 | 19 | 30-56 | 28 |
| 20.ხეტაფე | 33 | 7 | 7 | 19 | 29-61 | 28 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ბილბაო ბ-მირანდესი .................... 1:1
ხირონა-ალავესი ........................... 1:0
ნუმანსია-ლიაგოსტერა .................. 1:1
ელჩე-ლუგო .................................. 2:0
ვალიადოლიდი-სარაგოსა ............. 1:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-აინტრახტი ............ 3:0
აუგსბურგი-შტუტგარტი ............... 1:0
ვერდერი-ვოლფსბურგი ................ 3:2
ჰოფენჰაიმი-ჰერტა ...................... 2:1
დარმშტადტი-ინგოლშტადტი ....... 2:0
ბაიერნი-შალკე ............................. 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 30 | 25 | 3 | 2 | 72-14 | 78 |
| 2.დორტმუნდი | 29 | 21 | 5 | 3 | 69-30 | 68 |
| 3.ლევერკუზენი | 30 | 15 | 6 | 9 | 47-33 | 51 |
| 4.ჰერტა | 30 | 14 | 7 | 9 | 40-36 | 49 |
| 5.გლადბახი | 30 | 14 | 3 | 13 | 59-47 | 45 |
| 6.მაინცი | 29 | 13 | 6 | 10 | 40-36 | 45 |
| 7.შალკე | 30 | 13 | 6 | 11 | 41-43 | 45 |
| 8.ვოლფსბურგი | 30 | 10 | 9 | 11 | 42-41 | 39 |
| 9.ინგოლშტადტი | 30 | 10 | 9 | 11 | 27-33 | 39 |
| 10.დარმშტადტი | 30 | 8 | 11 | 11 | 34-44 | 35 |
| 11.ჰამბურგი | 29 | 9 | 7 | 13 | 35-40 | 34 |
| 12.კიოლნი | 29 | 8 | 10 | 11 | 29-37 | 34 |
| 13.ჰოფენჰაიმი | 30 | 8 | 10 | 12 | 35-45 | 34 |
| 14.აუგსბურგი | 30 | 8 | 9 | 13 | 38-48 | 33 |
| 15.შტუტგარტი | 30 | 9 | 6 | 15 | 46-60 | 33 |
| 16.ვერდერი | 30 | 8 | 7 | 15 | 42-61 | 31 |
| 17.აინტრახტი | 30 | 6 | 9 | 15 | 29-49 | 27 |
| 18.ჰანოვერი | 30 | 6 | 3 | 21 | 26-54 | 21 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კარლსრუე-ნიურნბერგი ................ 2:1
ზ.პაული-ბოხუმი ........................... 2:0

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-ტორინო ........................ 0:1
კარპი-ჯენოა ................................. 4:1
ინტერი-ნაპოლი ............................ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 32 | 24 | 4 | 4 | 58-17 | 76 |
| 2.ნაპოლი | 33 | 21 | 7 | 5 | 66-29 | 70 |
| 3.რომა | 32 | 18 | 10 | 4 | 67-33 | 64 |
| 4.ინტერი | 33 | 18 | 7 | 8 | 44-30 | 61 |
| 5.ფიორენტინა | 32 | 16 | 8 | 8 | 51-35 | 56 |
| 6.მილანი | 32 | 13 | 10 | 9 | 42-35 | 49 |
| 7.სასუოლო | 32 | 12 | 12 | 8 | 40-35 | 48 |
| 8.ლაციო | 32 | 12 | 9 | 11 | 42-42 | 45 |
| 9.კიევო | 32 | 12 | 8 | 12 | 38-40 | 44 |
| 10.ტორინო | 33 | 11 | 9 | 13 | 42-44 | 42 |
| 11.ჯენოა | 33 | 11 | 7 | 15 | 38-41 | 40 |
| 12.ემპოლი | 32 | 10 | 9 | 13 | 36-43 | 39 |
| 13.ბოლონია | 33 | 10 | 7 | 16 | 31-38 | 37 |
| 14.ატალანტა | 32 | 9 | 9 | 14 | 31-38 | 36 |
| 15.სამპდორია | 32 | 9 | 9 | 14 | 46-49 | 36 |
| 16.უდინეზე | 32 | 9 | 7 | 16 | 29-48 | 34 |
| 17.კარპი | 33 | 7 | 10 | 16 | 33-51 | 31 |
| 18.პალერმო | 32 | 7 | 7 | 18 | 29-57 | 28 |
| 19.ფროზინონე | 32 | 7 | 6 | 19 | 29-60 | 27 |
| 20.ვერონა | 32 | 3 | 13 | 16 | 27-54 | 22 |

**იტალია. სერია ბ**

ბარი-კომო .................................... 3:0
ენტელა-მოდენა ............................ 1:0
ვიჩენცა-ტერნანა .......................... 2:1
კალიარი-ბრეშა ............................ 6:0
ლატინა-ლანჩანო .......................... 2:2
ნოვარა-ლივორნო ......................... 2:1
პერუჯა-აველინო .......................... 2:0
პრო ვერჩელი-სალერნიტანა ......... 1:1
ტრაპანი-ასკოლი .......................... 4:3

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

პსჟ-კაენი ...................................... 6:0
ტრუა-რეიმსი ................................ 2:1
ბორდო-ანჟე ................................. 1:3
ლორიანი-ტულუზა ........................ 1:1
გაზელეკი-ლილი ............................ 2:4
ბასტია-სტ.ეტიენი ......................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 34 | 27 | 5 | 2 | 89-18 | 86 |
| 2.ლიონი | 34 | 16 | 8 | 10 | 55-35 | 56 |
| 3.მონაკო | 33 | 14 | 13 | 6 | 48-40 | 55 |
| 4.ნიცა | 34 | 15 | 9 | 10 | 51-38 | 54 |
| 5.სტ.ეტიენი | 34 | 16 | 6 | 12 | 40-34 | 54 |
| 6.ლილი | 34 | 13 | 13 | 8 | 37-27 | 52 |
| 7.რენი | 33 | 13 | 12 | 8 | 50-42 | 51 |
| 8.ანჟე | 34 | 13 | 10 | 11 | 38-33 | 49 |
| 9.კაენი | 34 | 14 | 4 | 16 | 35-50 | 46 |
| 10.ნანტი | 33 | 11 | 11 | 11 | 30-35 | 44 |
| 11.ლორიანი | 34 | 10 | 13 | 11 | 46-52 | 43 |
| 12.ბასტია | 34 | 12 | 7 | 15 | 31-38 | 43 |
| 13.ბორდო | 34 | 10 | 13 | 11 | 42-53 | 43 |
| 14.მარსელი | 33 | 8 | 16 | 9 | 43-38 | 40 |
| 15.გენგამი | 33 | 10 | 9 | 14 | 39-49 | 39 |
| 16.მონპელიე | 33 | 10 | 7 | 16 | 38-42 | 37 |
| 17.რეიმსი | 34 | 9 | 9 | 16 | 38-50 | 36 |
| 18.გაზელეკი | 34 | 7 | 13 | 14 | 33-49 | 34 |
| 19.ტულუზა | 34 | 7 | 12 | 15 | 39-50 | 33 |
| 20.ტრუა | 34 | 3 | 8 | 23 | 24-73 | 17 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლე ავრი-ნანსი .............................. 1:3

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ვიტესი-ერაკლესი ......................... 1:1
ალკმაარი-ზვოლე .......................... 5:1
ფეინოორდი-გრონინგენი .............. 1:1
როდა-პსვ ..................................... 0:3

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

აროუკა-რიუ ავე ........................... 0:0
ეშტორილი-ბოავიშტა .................... 1:0
მორეირენსე-სპორტინგი ................ 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტერეკი-კრასნოდარი ..................... 0:1
ლოკომოტივი-ცსკა ....................... 1:1
ზენიტი-სპარტაკი ......................... 5:2

**შოტლანდია. თასი**

ჰიბერნიანი-დ.იუნაიტედი .... 0:0(4:2პ)

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-გრასჰოპერსი ..................... 2:1
ციურიხი-ლუცერნი ...................... 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-რიდი ......................... 2:1
ადმირა-გროდიგი .......................... 1:1
მატერსბურგი-ალტახი .................. 0:0
შტურმი-ვოლფსბერგერი ............... 1:0

**ბელგია. იუპილერლიგა**

ვარეგემი-გენკი ............................. 1:2
ბევერენი-კორტრაიკი .................... 2:3
ლოკერენი-სტ.ტრუიდენი .............. 1:0
მეხელენი-შარლერუა ..................... 2:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

რიზე-ოსმანლი .............................. 0:1
ესკიშეჰირი-ქონია ......................... 1:2
ანთალია-გალათასარაი ................. 4:2
სივასი-ბეშიქთაში ......................... 1:2

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

პრჟიბრჟამი-ბანიკი ....................... 1:2
სიგმა-სლავია ................................ 1:1
სლოვაცკო-ბოლესლავი ................ 0:2
ტეპლიცე-ზლინი ........................... 2:2
ლიბერეცი-იიჰლავა ..................... 2:0

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

ზაგლებიე-გდანსკი ........................ 1:2
პიასტი-კრაკოვია .......................... 1:1
კორონა-შლიონსკი ........................ 1:1

**უკრაინა. პარი-მატჩ ლიგა**

ოლექსანდრია-ზორია .................... 2:0
ჰოვერლა-დინამო .......................... 0:2
დნიპრო-მეტალისტი ..................... 5:0

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-რანდერსი ........................ 0:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰელსინბორგი-ფალკენბერგი ......... 3:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სტრომგოდსეტი-სონგდალი .......... 2:1
რუსენბორგი-ბრანი ...................... 3:0

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

2016, 18 აპრილი, №91

# დინამომ ჩიხურასთან წააგო

ბრძოლა ევროსაგზურებისთვის და ელიტაში დასარჩენად გრძელდება




გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**ჩიხურა – დინამო (თბ) 1:0**

**ივანწმინდა. ცენტრალური**

1:0 სარდალიშვილი (89)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, განუგრავა, გაბაძე (ჭანკოტაძე 21), კუჭუხიძე, კორიფაძე, ჭეჭელაშვილი (ვუკასოვიჩი 46), სარდალიშვილი, ჩიკვაიძე, დობროვოლსკი, კაშია, რეხვიაშვილი

**დინამო:** ჰრდლიჩკა, კაკაბაძე (გურული 56), უ.ლობჟანიძე, რენე, გველესიანი, ჭელიძე, ჯილაური, კიტეიშვილი (თევზაძე 87), ჭანტურიშვილი, არაბული (ს. ლობჟანიძე 69), ქვილითაია

პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს – მე-14 წუთზე ბაჩანა არაბულმა ითამაშა კარგად, ბურთი ვახო ჭანტურიშვილს გადააწოდა, საჯარიმოს კუთხიდან მისი დარტყმული კი დინო ჰამზიჩის კარის ძელმა მოიგერია. ერთ წუთში ოთარ კიტეიშვილი აქტიურობდა, თუმცა ბურთი მიზანს ააცილა.

მატჩი ორმხრივ იერიშებში გაგრძელდა. ათიოდე წუთში ლიბორ ჰრდლიჩკამ მუშტებით მოიგერია ლაშა ჩიკვაიძის ძლიერად დარტყმული საჯარიმო. მე-40 წუთზე თბილისელებმა არაბული-ჯილაური-კიტეიშვილის შესრულებით ლამაზი კომბინაცია გაათამაშეს, ამ უკანასკნელს კი ოდნავ სიზუსტე დააკლდა.

მეორე ნახევარიც სწრაფ ტემპში დაიწყო. ლაშა ჩიკვაიძემ და ჯაბა ჯილაურმა კარში დარტყმები გაცვალეს, რენე ფერეირამ კი ბოლო წამს დაასწრო ლაშა კუჭუხიძეს და განმუხტა სახიფათო სიტუაცია.

61-ე წუთზე გიორგი განუგრავას სახიფათო თავური დარტყმა გიორგი გველესიანმა გამოიტანა ცარიელი კარიდან. ცოტა ხანში თბილისელთა შეტევა გამოდგა სახიფათო. ჯაბა ჯილაურის დარტყმული მცველმა მოიგერია, დამატებაზე კი გიორგი ქვილითაიამ ითამაშა, თუმცა მეკარემ იხსნა კარი. ორიოდე წუთში ჩიხურას მეკარემ ჯაბა ჯილაურის ტექნიკური დარტყმული მოიგერია კუთხურზე.

მატჩის ბოლოს დინამოს კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა. მიშა სარდალიშვილის დარტყმული ლიბორ ჰრდლიჩკამ მოიგერია, მაგრამ დამატებაზე ივარგა სარდალიშვილმა და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ეს გუნდები 20 აპრილს დინამო არენაზე, დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

**სიონი – დინამო (ბთ) 1:0**

**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

1:0 კობახიძე (70)

**სიონი:** მერლანი, ფოფხაძე, ვ.კილასონია, გურეშიძე, რაზმაძე, ვასაძე (ლუის ალბერტო 61), გაფრინდაშვილი, გოგინაშვილი (შალამბერიძე 72), მანჯგალაძე, ტატანაშვილი (სვანიძე 84), კობახიძე

**დინამო:** მამინაშვილი, სუხიაშვილი, მიხაილოვიჩი, ტვილდიანი, შონია, გოგიტიძე, თევდორაძე, ფონიავა (კაშია 74), ვარშანიძე, ბერიაშვილი (მაქაცარია 73), ჭკუასელი (სირაბიძე 86)

სიონი ჩიხურას მსგავსად აგრძელებს ევროტურნირებისთვის ბრძოლას და მორიგი გამარჯვება მიითვალა. ისევ გაიტანა ოთარ კობახიძემ – ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი ბოლო მატჩებში კარგად გამოიყურება და სიონის წამყვან ძალად ყალიბდება.

**ლოკომოტივი – მერანი 1:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 უბილავა (11), 1:1 საბანაძე (84)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ფოფხაძე, მახარაძე, გეთიაშვილი (ჭანტურია 62), ჩიტეიშვილი, ქიქავა, სამურკასოვი, დიასამიძე (ქანთარია 52), უბილავა, მზევაშვილი (გავაშელიშვილი 67), ჩაგელიშვილი

**მერანი:** მამალაძე, ორბელაძე, მელიავა (უგულავა 80), გიორგაძე, ციმაკურიძე, ტეიდი, წყაროზია (ჩიმაკაძე 78), ჯიქია, ხაბელაშვილი, ჯღამია (კიკნაველიძე 46), საბანაძე

უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლი გუნდების მატჩი დაძაბული გამოდგა. ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშეს გუნდებმა: პირველი ლოკომოტივის იყო და ტაიმიც მოიგეს, შემდეგ კი მარტვილელები გააქტიურნენ და თბილისიდან ქულა წაიღეს.

მატჩის დროს შეხლა-შემოხლაც მოხდა სათადარიგოთა სკამზე, რომელიც მატჩის შემდეგ გასახდელებთან გაგრძელდა.

მოდავეთა დასაშოშმინებლად პოლიციის ჩარევა გახდა საჭირო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 25 | 21 | 1 | 3 | 64-23 | 64 |
| 2.სამტრედია | 24 | 16 | 2 | 6 | 55-27 | 50 |
| 3.დილა | 24 | 15 | 5 | 4 | 39-19 | 50 |
| 4.ჩიხურა | 25 | 14 | 4 | 7 | 43-21 | 46 |
| 5.სიონი | 25 | 13 | 7 | 5 | 45-26 | 46 |
| 6.ცხინვალი | 24 | 10 | 8 | 6 | 40-30 | 38 |
| 7.დინამო (ბთ) | 25 | 10 | 6 | 9 | 35-27 | 36 |
| 8.ტორპედო | 24 | 9 | 6 | 9 | 33-35 | 33 |
| 9.შუქურა | 24 | 8 | 7 | 9 | 23-26 | 31 |
| 10.საბურთალო | 24 | 8 | 6 | 10 | 34-50 | 30 |
| 11.კოლხეთი | 24 | 7 | 5 | 12 | 18-26 | 26 |
| 12.ლოკომოტივი | 25 | 5 | 8 | 12 | 23-30 | 23 |
| 13.გურია | 24 | 4 | 8 | 12 | 21-39 | 20 |
| 14.მერანი | 25 | 4 | 6 | 15 | 22-51 | 18 |
| 15.ზუგდიდი | 24 | 3 | 6 | 15 | 22-52 | 15 |
| 16.საპოვნელა | 24 | 3 | 5 | 16 | 14-49 | 14 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## კალეიდოსკოპი

### ექთანმა ხანდაზმულ პაციენტს მკერდი აჩვენა




ბრიტანეთის ესექსის საგრაფოში მდებარე ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების თანამშრომელმა 92 წლის მამაკაცი აიძულა დაეჯერებინა მათი სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ და შიშველი მკერდი აჩვენა, რათა მისგან ფული მიეღო.

55 წლის ექთანმა შერონ უაიტ-ჰერისონმა აღიარა, რომ ავადმყოფის, რომლის მოვლაც ეკისრებოდა, საკრედიტო ბარათს იყენებდა და საკუთარი სარგებლობისთვის სხვადასხვა ნივთს იძენდა, მათ შორის, პლანშეტ აიპოდს. ბრიტანელის თქმით, მამაკაცმა მას 70 ათასზე მეტი დოლარი ასესხა, მას შემდეგ, როდესაც ის მოხუცს საკუთარი ფინანსური გაჭირვების შესახებ მოუყვა. მოგვიანებით მამაკაცმა გაიგო, რომ ქალი გათხოვილი იყო.

როგორც სამედიცინო დაწესებულების საბჭოს წარმომადგენელმა განაცხადა, ექთანი მრავალგზის სიცრუისა და თაღლითობის გამო, სანამ ყველაფერი არ გაირკვევა, სამსახურიდან დროებით გათავისუფლებულია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

### ასი წლის ბრიტანელი პარაშუტით გადმოხტა

თავისი დაბადების დღეს 100 წლის ბრიტანელი ვერდუს ჰაესი შეეცადა, მსოფლიო რეკორდი მოეხსნა და გამხდარიყო ყველაზე ხანდაზმული ადამიანი, რომელიც პარაშუტით გადმოხტა.

მამაკაცმა ნახტომი ინსტრუქტორთან ერთად განახორციელა, რათა ამით გარკვეული თანხები მოიზიდოს ქველმოქმედებისთვის.



ჯერჯერობით უცნობია, შევა თუ არა ჰაესის პარაშუტით გადმოხტომა გინესის რეკორდების წიგნში.

ნახტომის ჩანაწერი იუთუბიზე საკუთარ არხზე განათავსა ახალი ამბების პორტალმა, რომელმაც ორ დღეში ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა.

### ბრაზილიელ პლასტიკის მოყვარულს ცხვირი სძვრება

ბრაზილიელი, რომელმაც 430 ათას დოლარზე მეტი დახარჯა პლასტიკურ ოპერაციებზე, რათა თოჯინა კენის დამსგავსებოდა, საავადმყოფოში აღმოჩნდა ცხვირის ფორმის შეცვლის წარუმატებელი პროცედურის შემდეგ.



აღსანიშნავია, რომ როდრიგო ალვესს ნეკროზი დაეწყო (კანის სიკვდილიანობა), რამაც შეიძლება ცხვირის დაკარგვამდე მიიყვანოს.

32 წლის ბრაზილიელმა 42 ქირურგიული პროცედურა 2004 წელს გადაიტანა. ალვესმა, რომელიც ამჟამად ლონდონში ცხოვრობს, ბოლო ოპერაცია მიმდინარე წლის თებერვალში გაიკეთა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ საავადმყოფოში მოხვდა იმის გამო, რომ ცხვირის მიდამოში ნაპრალი გაუჩნდა. ამ მომენტისთვის მას სუნთქვა აქვს გაძნელებული.

რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ბრიტანელი ექიმები ალვესის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ჯერჯერობით უცნობია.

### კოცნით გართულმა წყვილმა შეიარაღებული ძარცვა ვერ შენიშნა



ორიოდე დღის წინ იუთუბიზე გამოჩნდა ვიდეო, რომელზეც ასახულია, თუ როგორ გაიტაცა ამერიკელი წყვილი ერთმანეთის ხვევნა-კოცნამ, რომ ვერ შენიშნეს, თუ როგორ მოხდა მათ გვერდით შეიარაღებული ძარცვა.

ინციდენტი, რომელიც სათვალთვალო კამერაზეა ჩაწერილი, ამერიკის მონტანას შტატის ქალაქ ბილინგსში მდებარე ბარში მოხდა.

ვიდეორგოლისთვის გაკეთებულ კომენტარში ნათქვამია, რომ სამი შეიარაღებული მძარცველი შეიჭრა დაწესებულებაში და სალაროდან ფული გაიტაცეს. ამ დროს კი წყვილი კოცნით იყო გართული და არაფერი შეუნიშნავთ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი

### 18 აპრილისთვის



**ვერძი** – მცირე უსიამოვნებები გუნება-განწყობას გაგიფუჭებთ. ნუ იქნებით ზედმეტად ეჭვიანი. მალე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება და თავს შესანიშნავად იგრძნობთ. **კურო** – წვრილმან უსიამოვნებებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, მოვა დრო და ყველაფერი თქვენ სასარგებლოდ შეიცვლება. ხელმძღვანელმა პირებმა უნდა იზრუნონ სამსახურში მორალური კლიმატის გაჯანსაღებაზე. **ტყუპები** – ჰარმონიული დღეა. პლანეტები გმფარველობენ. ადამიანებთან ურთიერთობაში მეტი ტაქტი და თავშეკავება გმართებთ. **კირჩხიბი** – დღეს განსაკუთრებით იღბლიანი პერიოდია მამაკაცებისათვის, რომლებიც კომერციული საქმიანობით არიან დაკავებულნი. სამაგიეროდ, ქალებს შესაძლოა ვინმემ მახე დაგიგოთ. ერიდეთ უცნობ ადამიანებთან ურთიერთობას. **ლომი** – კრიტიკული დღეა. დღეს ნებისმიერი პრობლემის მოგვარება თქვენგან დიდ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს. წვრილმანებს მეტი ყურადღება მიაქციეთ და გაითვალისწინეთ. **ქალწული** – პასიური დღეა. ერიდეთ საქმიან კონტაქტებს. შეეცადეთ, ნებისმიერ უსიამოვნებას ფილოსოფიურად მიუდგეთ. **სასწორი** – მშვიდად იმუშავეთ. შრომა დაგიფასდებათ. მატერიალური მდგომარეობაც საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. **ღრიანკალი** – ფასეულობები საფუძვლიანად უნდა გადააფასოთ. ემოციების გამოხატვისგან თავი შეიკავეთ. დღეს ცივი გონებით იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** – შემოქმედებითი პოტენციალი საგრძნობლად აგიმაღლდებათ. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. მოთმინებით აღიჭურვეთ და საქმე ისე აკეთეთ. **თხის რქა** – მზად იყავით პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებისათვის. შესანიშნავი დღეა ახალი საქმის დასაწყებად. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან. **მერწყული** – კარგი დღეა კომერციული საქმიანობისა და ბიზნესკონტაქტებისათვის. თქვენი აქტიურობა ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. **თევზები** – ნებისმიერი საქმე გამოგდით. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, ასევე მოგზაურობისა და მივლინებებისათვის.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## სკანვორდი



1. იალქანი; 2. ქალთა ცეკვა; 3. მთავარი სისხლძარღვი; 4. კინოკამერის სამაგრი; 5. ქალაქი თურქეთში; 6. „თავისუფალი ...“; 7. სამკელი იარაღი; 8. ვერცხლისფერი ჭედადი ლითონი; 9. თაღი; 10. მოახლე; 11. აიზეკ ...; 12. ფულისა და ნივთების გათამაშება ბილეთებით; 13. დონ ... დე ბაზანი; 14. ეკლესიიდან განდევნა; 15. მთათა მასივი სომხეთში; 16. კურკოვანი ხილი; 17. ახლო ნათესავი; 18. ნუშის ლიქიორი; 19. ამერიკული კინოფანტასტიკა; 20. თხელი, ქადურა ქსოვილი; 21. პარკოსანი მცენარე; 22. მოხულიგნო ტიპი; 23. საგანგებო დავალება; 24. ერითროციტების ცილოვანი ფუძე; 25. მაუგლის მეგობარი გველი; 26. ... ფილიპი; 27. ესპანური სანახაობა ხარების მონაწილეობით; 28. დრამატული სიუჟეტის მქონე მუსიკალური ნაწარმოები; 29. ესპერანტოს ვარიანტი; 30. კავშირი (გრამატ.); 31. ენიო ... (კომპოზიტორი).

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გობსეკი; 2. საფერავი; 3. შამოტი; 4. საქსი; 5. ჯაბადარი; 8. ვერდიქტი; 12. ბრნო; 13. არლეკინო; 14. ეგრისი; 16. მანიანი; 18. ჯაყვა; 20. გალო.

**თარაზულად:** 6. ფონოთეკა; 7. ავადჰარა; 8. ვენერა; 9. ტენგე; 10. პასკვილი; 11. ჩოქბჯენი; 15. არმსტრონგი; 17. მოსტრა; 19. სინგაპური; 21. სინდიყი; 22. კონტრალტო; 23. გოდერძი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. რეფორმა; 2. ტრანზიტი; 3. აზურიტი; 5. კომბაინი; 7. ოგინსკი; 9. მილენიუმი; 13. პერგოლა; 15. ფიესტა; 16. პოპოლო; 18. ხაიფა.

**თარაზულად:** 4. ბედეკერი; 6. შარტრეზი; 8. პოტამოლოგია; 10. ხანჩალი; 11. ლოტი; 12. აკორდი; 14. ოფისი; 17. კიური; 19. ზევსი; 20. უორდროპი; 21. იედო; 22. ბანდეროლი; 23. დარნიცა.

# მომღერალი არჩილ ჩიხლაძე 2 წელია, დენისა და შუქის გარეშეა



მომღერალი არჩილ ჩიხლაძე თავის მეუღლესთან მაყვალა ჩიხლაძესთან ერთად გასული საუკუნის 70-იან წლებში ყველაზე პოპულარული მომღერალი იყო.

14 აპრილს არჩილ ჩიხლაძე 83 წლის გახდა. მას ისტორიკოსმა ვლას ვაწაძემ შემთხვევით იერუსალიმის ქუჩაზე, ერთ-ერთ სახლში მიაგნო, სადაც ის უკვე 2 წელია, დენისა და გაზის გარეშე, სიმარტოვეში ცხოვრობს.

**ვლას ვაწაძე:**

– არჩილმა გვისტუმრა ერთ ნესტიან ოთახში, სადაც უკვე მეორე წელია, არც გათბობა და არც დენი არ აქვს, თავი გააქვს 160-ლარიანი პენსიით, რომლითაც თავის მეუღლე მაყვალა ჩიხლაძეს ეხმარება.

მომღერალი უფასო სასადილოშიც მივიდა, მაგრამ მას უარი ადგილების არქონის გამო ეთქვა.

არჩილ ჩიხლაძის მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაცია ორი წლის წინაც გავრცელდა, მაგრამ მაშინ მომღერლის შვილმა ირმა ჩიხლაძემ განაცხადა, რომ მამას სერიოზული დაავადება აქვს და საკუთარ საქციელსა და ქმედებებს ვერ აკონტროლებს.

# გია როინიშვილმა ქეთი დოლიძეს სასამართლო პროცესი მოუგო



კინომსახიობთა თეატრიდან გაშვებულმა მსახიობმა გია როინიშვილმა ამავე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ქეთი დოლიძეს სასამართლოში უჩივლა და პროცესი მოუგო.

ინფორმაცია ამის შესახებ გია როინიშვილმა თავად გაავრცელა:

– წელიწადნახევრიანი სასამართლო პროცესი დასრულდა! საქალაქო სასამართლომ ჩემი სარჩელი თუმანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ქეთი დოლიძის წინააღმდეგ სრულად დააკმაყოფილა! არანაირი შურისძიება!

**გია როინიშვილის განცხადებას ქეთი დოლიძემ ასე უპასუხა:**

– ჯერ ვნახოთ! არ დავთმობ, რადგან სასამართლო ჩუმად ჩატარდა, ჩვენი ადვოკატის გარეშე! მერე ვის მოუგო, თეატრს, სადაც 6 წელი ფეხი არ დაუდგამს და დიდი პარლამენტარი რომ იყო, „ეპაზორებოდა" სცენაზე დგომა? ხელფასს კი ურცხვად იღებდა იმაში, რომ არაფერს აკეთებდა? გავაპროტესტებთ აუცილებლად! ერთხელაც არ მოუხდია კოლეგებისთვის ბოდიში!

# ნინი ონიანი ძალადობის მსხვერპლი გახდა



მსახიობი ნინი ონიანი ძალადობის მსხვერპლი გახდა. ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით მსახიობმა თვითონ გაავრცელა:

– ძალიან ჩვეულებრივად გავხდი ძალადობის მსხვერპლი, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემთვის აბსოლუტურად უცხო მამრს რაღაც არ მოეწონა და გადაწყვიტა, რომ აქვს უფლება, მომიქნიოს ხელი, მაშინ როდესაც საერთოდ არაფერი დამიშავებია... უბრალოდ, „დალია ბიჭმა" და გადაწყვიტა, რომ „მაგარი ბიჭობაა", ქალს რომ ხელებს უქნევ...!!! მადლობა მის მეგობარს გადაუხადოს ცხოვრების ბოლომდე, რომ ციხეში არ გავუშვი პირდაპირი რეისით ...!!!!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

ილარიონ ანდრიაძის შვილიშვილები: ლალი, ილია, ლევანი, მირიანი, ელგუჯა ანდრიაძეები, ლიანა გელაშვილი ოჯახებით თანავუგრძნობთ დიდ მწუხარებაში შვილებს მიხეილსა და ლაშას, და-ძმას მანანა და ბესიკ ანდრიაძეებს, მათ ოჯახებს, მამიდაშვილს ამირან ძიძიგურს, მთელ სანათესავოს არა უქმი ლაპარაკით, არამედ საქმით, უბრალო ქართული საქმით, მშობლიური გოჩა-ჯიხაიშის მიწაზე ბაბუისაგან და მამისაგან მიღებული ფუძის შემნარჩუნებლის და ამ ფუძეზე ანდრიაძეების ქართული ტრადიციების გამგრძელებლის

**ივანე (მამული) მიხეილის ძე ანდრიაძის**

გარდაცვალების გამო.

მსუბუქი ყოფილიყოს მისგან ქართველკაცობით, შრომით მოფერებული გოჩა-ჯიხაიშის მადლიანი მიწა.

ღმერთს შევთხოვთ, რომ შეეწიოს მამულის შვილებსა და შვილიშვილებს, ანდრიაძეების გვარის მომავალს, თითოეულ ქართველს ქართველობის ურთულესი მისიის მამულისნაირად ერთგულებითა და რუდუნებით აღსრულებაში.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ნინი ბადურაშვილი ჯარიმებმა დაღალა



მომღერალი ნინი ბადურაშვილი ჯარიმებმა დაღალა. ნინი აპროტესტებს სითი პარკის მიერ დაწესებულ ჯარიმებს, რომლებიც თვითნებურად იზრდება და 10 ლარიდან ისე ადის 300 ლარზე, რომ დაჯარიმებულმა ამის შესახებ არაფერი იცის.

**ნინი ბადურაშვილი:**

– იცოდით თუ არა, რომ სითი პარკის ჯარიმის არჩაბარების შემთხვევაში, მაგალითად, თუ მოვიდნენ და ოჯახის წევრმა უარი განაცხადა ჯარიმის ჩაბარებაზე შენ მაგივრად, მაინც ჩაბარებად ითვლება და 10-ლარიანი ჯარიმა აგდით 150 ლარზე! თან იმ მისამართზე აღარ ვცხოვრობ და არც ის მანქანა აღარ მყავს დიდი ხანია. ესენი კი დაჟინებულად მოდიან ჯარიმებით!

კი ბატონო, ვიხდი, მაგრამ ის ჯარიმა, რომელიც არ ჩაიბარეს, თურმე ავიდა 300 ლარზე ისე, რომ მე არაფერი ვიცოდი და არც გააფრთხილეს, რომ ჩემთვის გადმოეცათ! კანონი ყოფილა ასეთი...

ჩვენ თუ არ გვითხრეს კანონების შესახებ, საიდან უნდა ვიცოდეთ, მაგალითად, ეს კანონი, რომ თუ სახლში არ ხარ და არც იქ ცხოვრობ, მაგრამ რომელიმე ოჯახის წევრმა უარი განაცხადა ჯარიმის ჩაბარებაზე, მაინც ჩაბარებად ითვლება და არგადახდის შემთხვევაში 10-ლარიანი ჯარიმა აგდის 150 ლარზე! მაინტერესებს, მე ვალდებული ვარ, კანონები ვიცოდე თუ აწყობთ, რომ არ ვიცოდეთ, რაც შეიძლება მეტი ფული რომ შეუვიდეთ?!

ნინი ბადურაშვილის განცხადებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და მძღოლების უმრავლესობამ სითი პარკის საერთოდ გაუქმება მოთხოვა, ნაწილმა კი ამ კომპანიის წინააღმდეგ საპროტესტო აქციების ჩატარებაც დაგეგმა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ნინი ბადურაშვილს სითი პარკი აჯარიმებს. როგორც თავად მომღერალი ამბობს, ღერძულა ხაზის გადაკვეთაში ჩემპიონია და ბადალი არ ჰყავს:

– ვერ გავიგე, ამ ღერძულა ხაზის გადაკვეთის მერამდენე ჯარიმა უნდა მომივიდეს? არ მჯერა, რომ ამდენჯერ ვკვეთ. მე რატომ არ მიმართლებს?! კი არადა, იმდენია მოსული, სახელმწიფო ბიუჯეტს შევავსებ! გთხოვთ, დამინდოთ, არც ეგეთი შეძლებული ვარ!

# მიხეილ გიორგაძე ბრალდებებს პასუხობს



ბოლო პერიოდში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მისი ხელმძღვანელის მიმართ ბრალდებები გახშირდა. მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ მისი უწყებისა და მისი პიროვნების მიმართ წაყენებულ ბრალდებებს საჯაროდ უპასუხა.

**მიხეილ გიორგაძე:**

– ლაიტმოტივად ყველა ამ ბრალდებისა და პრეტენზიის, რომლებიც ისმის ჩემი და სამინისტროს მიმართ, გასდევს ჩემი ყოფილი საქმიანობა. არაერთხელ მომისმენია ისეთი ტერმინი, როგორიც არის ჯაზის მინისტრი, სხვათა შორის, საკმაოდ მოხერხებული ტერმინია, კარგად მოფიქრებული და აუცილებლად გამოვიყენებ, როდესაც კულტურის მინისტრი აღარ ვიქნები.

პროექტი „ჩექ ინ ჯორჯია" არის ბევრად მეტი, ვიდრე რამდენიმე კონცერტი საერთაშორისო ვარსკვლავების მონაწილეობით, ეს არის ბევრად მეტი, არა 60 კონცერტი, როგორც გაჟღერდა, არამედ 150-ზე მეტი კონცერტი ამ პროგრამის ფარგლებში აპრილში დაიწყო და წლის ბოლომდე გაგრძელდება. ბევრად უფრო კომპლექსურია და მასშტაბები ნამდვილად უპრეცედენტოა.

# მაია ასათიანი სკანდალში გაეხვია



მაია ასათიანის ერთ-ერთი ბოლო გადაცემა, რომელიც სტალინის წმინდანად შერაცხვას შეეხებოდა, საზოგადოებაში აღშფოთების მიზეზი გახდა.

ჟურნალისტს სტუდიაში მიწვეული ჰყავდა მეუფე ილარიონი, რომელიც, საქართველოს საპატრიარქოს განცხადებით, უკვე წლებია, ფსიქიკური პრობლემების გამო აღარ არის ღვთისმსახური.

მაია ასათიანს შეურაცხადი ადამიანის სტუდიაში მიყვანა და დაცინვა დასდეს ბრალად, რასაც ჟურნალისტმა სპეციალური განცხადებით უპასუხა:

– 1921 წლის 25 თებერვალს თანამედროვე ტელევიზია რომ ყოფილიყო და მე კოჯრის მისადგომებთან ჩართვაზე ვმდგარიყავი, დავარღვევდი ყველა პროფესიულ სტანდარტს და ვიქნებოდი იქ, სადაც ჩემი ქვეყნის პოზიციაა!

დიახ, ხუთშაბათს მე, მაია ასათიანმა, სრულ გონებაზე მყოფმა, წინასწარ განზრახვით დავარღვიე ყველა პროფესიული სტანდარტი... ვიყავი ზედმეტად ემოციური და მიკერძოებული და ასეთი ვიქნები ყოველთვის, როცა საქმე საბჭოთა საქართველოში დაბრუნებას ეხება! დგება მომენტი, როცა ჩვენ ჯერ მოქალაქეები ვართ და შემდეგ – ჟურნალისტები!

პ.ს. თქვენ იყავით მშვიდად, ბატონებო, როცა ნახევარი დარბაზი, მათ შორის ახალგაზრდები, სრული სერიოზულობით გიმტკიცებს, რომ ძია სოსო წმინდანი და რუსეთი მხსნელია! მე ეს არ შემიძლია და, მე მგონი, ეს ის დროა, როცა ბრძოლაა საჭირო. ჰოდა, ვიბრძოლებ!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კალეიდოსკოპი

### ობამას ბავშვი ჩააბარეს



აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ რამდენიმე წუთი დაუთმო თეთრი სახლის კომუნიკაციის განყოფილების დირექტორ ჯენიფერ პსაკის ცხრა თვის გოგონას ჟენევიევე მეჩერს. ბავშვთან ერთად პრეზიდენტის კაბინეტში იატაკზე მუხლებზე მხოხავი ობამას სურათი სოციალურ ქსელში ვებგვერდზე ბარაკფოტოზე გამოქვეყნდა.

პსაკის, რომელიც დემოკრატიული პარტიის ფუნქციონერ გრეგორი მეჩერზეა გათხოვილი, ბავშვი 2015 წლის ივლისის შუა რიცხვებში შეეძინა.

თეთრი სახლის კომუნიკაციის განყოფილების დირექტორის თანამდებობა პსაკიმ გასული წლის 1 აპრილს დაიკავა და ამ თანამდებობაზე ჯენიფერ პალმერი შეცვალა, რომელმაც თანამდებობის დატოვების თაობაზე განცხადება 2015 წლის 5 თებერვალს გააკეთა.

### სელენა გომესი ჟურნალისთვის გაშიშვლდა



პოპშემსრულებელმა და მსახიობმა სელენა გომესმა მამაკაცებისთვის განკუთვნილი ჟურნალისთვის გამართულ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ფოტოსურათი გამოცემის ინსტაგრამში იქნა გამოქვეყნებული. გადაღებაზე მსახიობს მხოლოდ ჯინსის შორტები ეცვა.

– არ ვაპირებ იმაზე წუწუნს, რომ ნორმალური ბავშვობა არ მქონია, – ასეთი წარწერა გაუკეთეს სურათს გამოცემის წარმომადგენლებმა. მათ მოიყვანეს ციტატა მომღერლის მიერ მიცემული ინტერვიუდან, რომელიც ჟურნალის მაისის ნომერში გამოქვეყნდება.

15 საათში გომესის ფოტოსურათმა 23 ათასზე მეტი მოწონება მიიღო. ფოტოსურათის ავტორი კი ცნობილი ფოტოგრაფი ვიქტორ დემარშელიეა.

### მსოფლიოში ყველაზე ლამაზი კატა დასახელდა



ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ მსოფლიოში ყველაზე ლამაზი კატა დაასახელა. მისი ვერსიით, ყველაზე ლამაზი კატა თეთრი ფერის თურქული ვანია, სახელად ალოსი.

აღსანიშნავია, რომ კატამ ინტერნეტში პოპულარობა თავისი თვალების წყალობით მოიხვეჭა. ცალი თვალი მას მწვანე აქვს, ხოლო ცალი – ცისფერი. შინაურ ცხოველს საკუთარი გვერდი აქვს ინსტაგრამში, რომელსაც ათი ათასამდე ხელმომწერი ჰყავს.

თურქმა ბურკუ კეინაკმა კატა ჯერ კიდევ მაშინ აიყვანა, როდესაც ის სულ პატარა იყო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## პროგრამა

**ორშაბათი 18 აპრილი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "ფერმა" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "მუსიკოლოგოსი" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.10** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" **23.00** ტ/სერ "**ამერიკული ოდისეა**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**ბორნის ულტიმატუმი**" (მ.დეიმონი) **03.10** "პირადი ექიმი"

**08.00** დ/ფ "ჩირლიდერები" **09.00** დ/ფ "ალის პირისპირ" **10.45** დ/ფ "ბავარია" **11.15** ქართ. მხ/ფ "**მხიარული რომანი**" **12.30** დ/ფ "ირლანდია" **13.00** დ/ფ "ჯონ სფარის ნახატები" **14.00** "ეპიცენტრი" **15.00, 18.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **16.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.30** მხ/ფ "**სიყვარული და ღირსება**" **02.45** მხ/ფ "**კოლიბრი**" **04.40** მხ/ფ "**პოლიციელი ბევერლი ჰილზიდან 3**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **21.00** კურიერი **22.00** X-ფაქტორი **23.30, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.30** ან/სერ. "**ავატარი - ჰაერის უკანასკნელი მბრძანებელი**" **9.00** ჯიდიპედია **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00, 2.45** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **19.30** სერ. "**მენტალისტი**" **20.30 20.30 22.30** მხ/ფ "**ჰიტმენი**" **0.10 ID Extra -** მოჩვენებებით შეპყრობილი **1.10** URBAN STORIES **1.45** ჯიდიპედია

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.20** დ/ფ "იტალია-სერჯოს მღვიმე" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს. პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.05** მოკ. მხ/ფ "**ადგილის დედა**" **13.00** საღვთისმსახურო წელიწადი-დეკანოზი თეიმურაზ თათარაშვილი **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "მონსტერა დელიციონი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** სპექტაკლი "**სიმღერა კორნეტ ქრისტოფ რილკეს**" **16.20** პლანეტა დედამიწა "მტკნარი წყლები" **17.00** დ/ფ **17.35** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-სამღვდელმთავრო შესამოსელი **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**წინაპართა მიწა**" **20.40** ძილი ნებისა "წმინდა ნინო მაცხოვრის შესახებ" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ბზობის კვირის საწინასწარმეტყველო **21.25** პატერიკი **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.25** დ/ფ "სამონეტო ლეგენდები" **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 1.00** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ/სერ. "მსოფლიო საუკეთესო სახლები" **16.05, 17.05** სერ. "**კარმელიტა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ორსულობის ტესტი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ეკატერინა**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**მიშკა იაპონჩიკი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**18 აპრილისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.2519

ევრო — 2.5392

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1950

100 რუსული რუბლი — 3.3933

**ამინდის პროგნოზი 18 აპრილისთვის**








18 აპრილიდან

ქართველები ამერიკაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი





გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ

წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა

1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება

8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები

15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები

22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა

29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი








19 აპრილიდან

ერიხ მარია რემარკი

სამი მეგობარი

გაზეთისა და წიგნის ფასი 12 ლარი


# ქართული ტრიუმფი ნორვეგიაში

## ევროპაში ყველაზე ძლიერი ლაშა ტალახაძეა



ნორვეგიის ქალაქ ფროდეში ქართული ტრიუმფით დასრულდა ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში.

22 წლის ლაშა ტალახაძემ ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე მოიგო ევროპირველობა და მომავალ რიოს ოლიმპიადის ფავორიტთა სიაში ჩაეწერა.

თუ ქართველი სპორტსმენის შედეგებს გადავხედავთ, ოლიმპიური ოქრო სავსებით რეალურია – ქართველმა მძიმეწონოსანმა უახლოეს კონკურენტს 21 კილოგრამით აჯობა.

გასაკვირი არც ის ყოფილა, რომ ტალახაძემ ჯამში 3 ოქროს მედალი მოიპოვა. იგი საუკეთესო იყო ატაცში, აკვრასა და ჯამური შედეგითაც.

ლაშამ პირველ მოძრაობაში 200, 207 და 212 კილოგრამი დასძლია და ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა. 212 კგ ევროპის რეკორდია და მსოფლიო რეკორდს 2 კილოგრამით ჩამორჩება, მაგრამ აქაც გამოჩნდა, რომ ჩვენებურს მეტი შეუძლია.

აკვრაში ქართველი ძალოსანი სხვებისგან კიდევ უფრო გამოირჩეოდა. მან 235, 241 და 251 კგ-იანი შტანგა დაიმორჩილა და ამ მოძრაობაში უახლოეს კონკურენტს 12 კგ-ით აჯობა.

საერთო ჯამში, ლაშამ თავი 463 ქულას მოუყარა და ტურნირის უმთავრეს ვარსკვლავად იქცა. აღიარეს კიდევ – ჩვენებური ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ძალოსნად დაასახელეს.

მძიმე წონაში ფიცარნაგზე 2015 წლის ევროპის ჩემპიონი ირაკლი თურმანიძეც ვიხილეთ, თუმცა, მან 6 ცდიდან მხოლოდ 2 გამოიყენა და ჩვეული შედეგი ვერ აჩვენა. თურმანიძემ ჯამში 410 კგ (190+220) მოაგროვა და მე-7 ადგილი დაიკავა.

ნორვეგიაში მძიმე წონაში კიდევ ერთ წარმატებას მივაღწიეთ – ანასტასია გოტფრიდმა 3 ვერცხლის მედალი მოიპოვა და რიოს ოლიმპიადაზე ასპარეზობაც გაინაღდა. აქამდე მხოლოდ კაცებში გვქონდა 3 ლიცენზია.

ანასტასიამ ექვსივე ცდა გამოიყენა, მხოლოდ სომეხ ჩემპიონ ჰრიპსიმ ხურშუდიანს ჩამორჩა და საქართველოს ძალოსნობის ისტორიაში პირველი ქალი ევროპის ვიცეჩემპიონი გახდა.

გოტფრიდმა ატაცში 106, 110 და 113-კილოგრამიანი შტანგა დაძლია, აკვრაში კი – 128, 132 და 136 კგ.

ნორვეგიულ ფიცარნაგზე 105 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ვაჟები გავიდნენ და საქმეში 2 ქართველი ძალოსანიც ვიხილეთ.

საბოლოოდ, 18 წლის გიორგი ჩხეიძემ 381 კგ-ით (170+211) მე-9 შედეგი აჩვენა, ხოლო 30 წლის ალუდა მანაგაძე 377 კგ-ით (175+202) მე-11 იყო.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი



### ბრიტანელი მინისტრი მეძავებში დაძვრება

დიდი ბრიტანეთის კულტურის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სპორტის მინისტრმა ჯონ უიტინგდეილმა აღიარა, რომ ურთიერთობა ჰქონდა მეძავებთან. პოლიტიკოსის მტკიცებით, მისთვის უცნობი იყო, თუ რას საქმიანობდა მისი პარტნიორი გოგონა.



აღსანიშნავია, რომ 56 წლის უიტინგდეილმა ქალი 2013 წელს გაცნობის ვებგვერდის დახმარებით გაიცნო. მათი ურთიერთობა დაახლოებით ერთი წელი გრძელდებოდა და მანამდე დასრულდა, სანამ ის ქვეყნის ხელისუფლებაში მინისტრის თანამდებობას დაიკავებდა. ეს კი 2015 წლის მაისში მოხდა. ბრიტანელი მინისტრი განქორწინებულია და მას ორი შვილი ჰყავს.

მინისტრის თქმით, მის ყოფილ მეგობარ ქალს მისთვის არ უთქვამს, თუ რას საქმიანობდა. მან ეს მხოლოდ მაშინ გაიგო, როდესაც შანტაჟისტები მისი ისტორიის პრესაში გავრცელებით დაემუქრნენ.

– მე მასთან მაშინვე გავწყვიტე ურთიერთობა, როგორც შევიტყვე, რომ ის მეძავი იყო, – განაცხადა უიტინგდეილმა.

### უდაბნოში დაკარგული მოხუცი ქალი გადარჩა



72 წლის ამერიკელი ქალბატონი, რომელიც არიზონის შტატის უდაბნოში დაიკარგა, ცხრა დღის განმავლობაში იძულებული იყო, მხოლოდ წყლითა და მცენარეებით გაეტანა თავი.

შტატის საზოგადოებრივი უსაფრთხოების დეპარტამენტში განაცხადეს, რომ ენი როჯერსს ბენზინი გზის ერთ-ერთ ყველაზე გრძელ მონაკვეთზე გაუთავდა. მისი ტელეფონი სიგნალს ვერ იჭერდა და მან ცხრა დღე და ღამე ველურ ბუნებაში გაატარა.

პოლიციელებმა პენსიონერი ქალბატონის ავტომობილი 3 აპრილს აღმოაჩინეს, მაგრამ თავად ენი მანქანაში არ იმყოფებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ უდაბნოში ჯოხებისგან გაკეთებული წარწერა შენიშნეს, რომლის დახმარებითაც როჯერსი შველას ითხოვდა. მალე მაშველებმა მიაგნეს ნაგებობას, რომელიც თავშესაფარს წააგავდა, მალე კი თავად ქალიც იპოვეს. როჯერსი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ექიმებში ეჭვს არ იწვევს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



•••

ალპინისტი ტრავმატოლოგ ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ბოლო დროს ჯანმრთელობის პრობლემები მაქვს.

– მაინც რას უჩივი?

– სანამ კედელზე მივცოცავ, ყველაფერი ნორმალურადაა, მაგრამ, როგორც კი ჭერს მივაღწევ, ზურგის ტკივილი მეწყება.

– ჰოო, მეგობარო! თქვენ მე კი არა, ფსიქიატრი გჭირდებათ...

•••

სასტუმროში რუს ტურისტებს ადმინისტრატორი ინსტრუქტაჟს უტარებს:

– ნომერში დგას ერთი მაგიდა, ორი სკამი, სამი საწოლი, ოთხი კედელია... და ასევე უნდა დარჩეს თქვენი წასვლის შემდეგ...

– და კიდევ, სასტუმროში 230 გერმანელი ცხოვრობს, რომელთაც მეორე მსოფლიო ომთან კავშირი არ ჰქონიათ...

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეხვეწება:

– წამომყევი ყანაში, სათოხარში მომეხმარე.

– რას გეტყვი ძამა, იცი? ყანაში სათოხნად კი არა, ცხონებულ მამაჩემს საფლავიდან ბათინკები მოუჩანს და იმაზე მეზარება მიწის მიყრა... შემეშვი, თუ კაცი ხარ.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ქალებზე რა აზრის ხარ?

– ქალები რობინ ჰუდივით არიან, ოღონდ პირიქით...

– ეგ როგორ?

– მდიდრებს აძლევენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 4. იაპონური ნაციონალური ჩასაცმელი; 5. ზოგი ტროპიკული ხის ძვირფასი მერქანი; 6. მტაცებელი ცხოველი; 7. სადასტაქრო ორპირიანი დანა; 8. რაიმე საგნის კონტური; 10. რთული სიტყვის წინსართი ნერვთან დაკავშირებული; 13. მაიმუნი; 15. ეთიოპიის იმპერატორების ტიტული; 16. სიმინდის ყვავილედი; 17. ინდოელი ქალის კაბა; 20. პატარა მონადირე ძაღლი; 21. რესტორანი გერმანიაში; 22. საღებავი ნივთიერება, რომელსაც მჟავა აწითლებს; 23. მგალობელი ფრინველი.

**შვეულად:** 1. მუქი ფერის ქსოვილი შავში გარდამავალი; 2. ფეთქებადი ნივთიერება; 3. ხელოვნებისა და მეცნიერების მდიდარი მფარველი; 4. ბზიკი; 5. ციმბირული ირემი; 9. მხატვრის ან მოქანდაკის სახელოსნო; 11. უკუსვლა, დაქვეითება; 12. იაპონიის იმპერატორების ტიტული; 14. კინოგადაღებაში ოპერატორული ხერხი; 18. ამერიკელთა მეტსახელი ევროპაში; 19. ... კოსტნერი.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**




ლურჯი წითელი ყვითელი შავი